



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№341 (400) 24 ნოემბერი – 1 დეკემბერი 2015 სხვალხო მოკრობა „სამებრლოს“ ორბანო 30 თებერი  
სირხხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – აკაკი შანიძე

**ალექსანდრა  
ჭაჭია:  
„...ქველა  
ჩემი  
სამშობლოა!“**



გვ.2

**გაზეთ “ილორის” ავტორთა  
საქურადღებოდ!**  
ჩვენთან დამოუკიდებელი და გაუბრკვეველი მიზეზების გამო მოხდა გაზეთის ვებ-გვერდის დაბლოკვა, რის მიზეზადაც საიტის ადმინისტრაცია ასახელებს უნებართვო შეღწევის მცდელობას.  
აღნიშნულის გამო შეიცვალა ჩვენი ელექტროფოსტის მისამართი და 2015 წლის 28 ოქტომბრიდან იგი იქნება:  
**roland.jalagania@mail.ru**  
ბოლოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული ბარემოება

**კუკური ფიფია:  
მებრული  
(იბერიული) ენის  
ფენომენი**

ცნობილია, რომ საერთო სალიტერატურო ქართულ ენაში (აკად. აკაკი შანიძის გამოთვლით) 66% უცხოურ ენათა ლექსიკაა დამკვიდრებული, მხოლოდ 34%-მდეა ეროვნული იბერიული წარმოშობისა, მაგრამ ეროვნულად მიჩნეული სიტყვების ეტიმოლოგიას ძირისძირამდე ხსნის მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. მებრული (იბერიული) ენა. **გვ.6**

**რას დადადებდა  
ილია მარტალი?!**  
იმპერატორმა პავლემ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა-რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმმართველს, მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მეჭვიდმეტე ეგერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა... **გვ.8-10**

**ქვეყანა სახელად  
“საბირჩეთი”**  
რაც შეეხება ჩემს ერთ-ერთ მეზობელს, ამ ამბის შეტყობის შემდეგ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: “გირჩის მურაბა მიყვარდა ძალიან და ამ დალოცვილებმა იმდენი გააკეთეს, რომ გირჩის ნაცვლად ნაძვის ხის მტვერი შეგვატოვეს ხელში!” **გვ.3**



**ბიორბი  
ჯეონდიდელის  
ცხოვრების  
ზოგი  
უცნობი  
დეტალი** **გვ.2**



**კონსტანტინე  
კაკანელი  
(ჭანჭუჩაია):  
რენესანსი  
ლიტერატურაში**  
ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენს სამღვდელუბებს კქონდა უშუალო კავშირი ბიზანტიასთან: საქართველოში ბიზანტიიდან შემოქქონდათ ხატები, ეკლესიის მორთულობანი, მხატვრული ფრაგმენტები, საღებავები; ბიზანტია, ყარაყორუმი, სამარყანდი, ბაღდადი კომერციულ და კულტურულ-მეცნიერულ ურთიერთობაში იყვნენ. **გვ.3**



**დადა  
ეკლესიას  
მოწყვებელი  
იარუსალიმის  
ნეინდა  
სალოცავები** **გვ.7**





# „...ყველა ჩემი სამშობლოა!“

**ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაიბეჭდა გაზეთ „ასაგალ-დასაგალში“ №49 (588), 2005 წლის დეკემბერში**

**ალექსანდრე ჭაჭია: როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზედაც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?!**

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მეოთხე ყრილობაზე განხილული საკითხები აქტუალურია არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულად საქართველოსთვის, თუმცა, საზოგადოების ერთი ნაწილი ზოგიერთი ტელეარხის პროვოკაციის შედეგად საკმაოდ შეშფოთდა. საქმე ისაა, რომ ყრილობამ ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გასაცნობი კურსის შემოღება მოითხოვა, მეორე დღეს კი პრესაში მიმართვა ხელისუფლებისადმი, სადაც ამ ენებს კუთხურ კილოკავებს უწოდებდნენ და მათ შესწავლას ქვეყნის დანგრევისთანადაიგივებდნენ.

მე არა ვარ ფილოლოგი, მეგრულს ან სვანურს რაიმე კვალიფიკაცია რომ მივიანიჭო, მაგრამ მინდა, შევახსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: **„მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისა ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყენს. და მეგრული ენაში კი შენახულია მარგალიტად ეს ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შედახული ქართული ლექსიკონი“.**

ეს გახლავთ დიდი აკაკის რჩევა, რომელიც მეგრულს ენად და ქართული ენობრივი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიხსენებს. ასევე ჩანს, თუ ვის შეიძლება „ეწივნოს“ და „ყურში ცუდად გაეჩხიროს“ მეგრულ ენაზე ზრუნვა.

ჩემი აზრით, ნებისმიერი ქართველი უნდა

ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უდიდესი ფენომენი – ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული და სვანური ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, პატრიოტი და მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერები მეგრულს მეცნიერულად იკვლევდნენ, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენას.

მინდა ვკითხო დღევანდელ მეცნიერებს: რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ საუნჯის იგნორირება და აბუჩად აგდება?! დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მთავალი თაობის ინტერესებში ეს არ შეიძლება შედიოდეს.

რაც შეეხება სკოლებში მეგრული და სვანური ენების გასაცნობი კურსის შემოღებას, მითხარით, რა არის ცუდი იმაში, თუკი ქართველი ბავშვი ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან სამეგრელოს ან სვანეთის სოფლებში მოხვედრისას, ან ქუჩაში მეგრულს თუ სვანურს რომ მოჰკრავს ყურს, უცხო საუბრად არ აღიქვამს და იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ეს ქართულია, მშობლიურია. შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გათლიანებას?

ბატონი გიორგი სიჭინავა მის მიერვე შედგენილ მეგრული ენის თვითმასწავლებელში წერს: **„ჩემო პატარა მეოთხელო, უნდა იცოდე, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია, და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო კოლხიბერა ქვეყანაა, კოლხებს და იბერებს ერთი წინაპრი ჰყავდათ, დღესაც, სხვადასხვა კუთხეებად გატოტვილი, ისე, როგორც ხეთა შტოები, ერთი ფესვიდან იკვებებიან. ქართველი ერის აკვანი შორეულ აიაში დაირწა, და დღესაც შორეული წარსულიდან ისმის საყვარელი მელოდი: „იანგანა მარდუ ნანა იანგანანა“. თავდაპირველად იქნებ გეუცხოლო მეგრული სიტყვები, მაგრამ უცხო არ არის. ის ძველისძველია, თქვენი სისხლის, ნათესავეების, თქვენი აიელი წინაპრების ხმებია“.**

ჩემი აზრით, სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს მისაღები იმ ხალხისათვის, იმ ხელისუფლებისათვის, იმ ცალკეული პირებისათვის, ვისაც ნამდვილად სურს ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული, სულიერი მთლიანობის აღდგენა. მე არ მიკვირს, როდესაც ასეთ მიდგომას გამოხს პრეზიდენტის აპარატში მოკალათებული ვიღაც კარაპეტა, მაგრამ ქართველ მეცნიერთაგან იგივეს მოსმენა მართლაც გასაკვირია.

ჩემი აზრით, არამარტო მეგრული და სვანური, არამედ აფხაზური ენის გასაცნობი კურსიც შემოსაღებია ქართულ სკოლებში, რადგანაც ეს ენა ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარა, სახელმწიფო ენას კი ყველა მოქალაქე უნდა იცნობდეს.

ზოგიერთი პროვოკატორის გარდა, ყველამ ჩინებულად იცის, რომ ჩვენ ვითხოვთ მთელ საქართველოში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსის შემოღებას და არა – სამეგრელოში მეგრულად სწავლებას. ყველა, ვინც ცდილობს ასეთი კუთხით წარმოაჩინოს ჩვენი მოთხოვნა, ექვეა შეგნებულ პროვოკაციას შორსმომავალი მიზნებით.

იმ პროვოკატორებს კი, ვინც მეგრული და სვანურის ლამის აკრძალვას ითხოვენ, ასევე მინდა შევახსენო, რომ დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც შეიძლებოდა მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსის ავტორის გადასახლება ან, თუნდაც, პარტიულ ორგანოებში გამობრუნება და მეგრულად ლექსის დაწერის აკრძალვა.

არ ვაპირებ პოლემიკას იმ მეცნიერებთან, ვინც ხელისუფლების სახელზე სასწრაფო უსტარი აფრინა და ლამის ჩემი დაჭერა მოითხოვა, მით უფრო, რომ დღეს ქვეყნის წინაშე გაცილებით მძიმე, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები დგას. უბრალოდ, მინდა, ვკითხო მათ:

როგორ აპირებთ, თქვენ, ბატონებს – გიორგი სიჭინავას, ვახტანგ ხარჩილავას, რინოს კვარაცხელიას და სხვებს აუკრძალოთ მეგრული ლექსების წერა: პარტიულ ორგანოში დაიბარებთ, გადაასახლებთ თუ

სულაც ჩეკას სამეულივით სასამართლოს გარეშე დახვრეტთ?

როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?

ვინ იქნება იმავე მეგრელებისათვის უფრო მისაღები – ცნობილი ენათმეცნიერი, აფხაზეთის სიძე ჰიუიტი, რომელიც მეგრულს ერთ-ერთ უმდიდრეს ენად მიიხსენებს და მთელ ევროპაში უწევს მას პოპულარიზაციას, თუ ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც ამ ენის არსებობას უარყოფენ და კნინობით, შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებენ მას?

ნუთუ ვგონიათ, რომ რომელიმე ლაზში (ასეთი ორ მილიონამდეა და მათთან ნათესაური კავშირების აღდგენა, თუნდაც, იმ-იტომ შედის სახელმწიფო ინტერესებში, რომ ისინი თურქეთში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან) სიმპათიას გამოიწვევთ, თუკი მათ ენას კუთხურ კილოკავს უწოდებთ? ხომ არ აჯობებს, ვუთხრათ მათ, რომ ლაზური ენა ქართული ენობრივი ოჯახის განუყოფელი ნაწილია?!

როგორ დაუსაბუთებთ იმ ევროსტრუქტურებს, რომლებში გაერთიანებასაც ასე ცდილობს ხელისუფლება, რომ მეგრული და სვანური ენები უნდა აიკრძალოს, მაშინ, როდესაც ესპანეთში არსებობს კატალონიური ენა ბრევიჩინგალე ლიტერატურით (მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები ესპინასი, ტორესი), არსებობს გალისიური ენა და ლიტერატურა (კასარესი, ვარელა) და ყოველივე ეს ესპანური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას ბრეტონულ და კორსიკულ ენებზე საფრანგეთში, ანალოგიური მდგომარეობაა იტალიაში, სადაც დიდი ლექსებიც კი სკოლებში ისწავლება. ვის და როგორ აუხსნით, რომ ის, რაც ევროპულ ქვეყნებში ერის კონსოლიდაციას ემსახურება, საქართველოს დაშლით ემუქრება?!

დაბოლოს, შევახსენებ ჩემს ოპონენტებს, რომ პოლიტიკოსთა და ვაიმეცნიერთა დაუღალავმა მტკიცებამ, თითქოს არც აფხაზური ენა არსებობს, არც აფხაზური ლიტერატურა და კულტურა, აფხაზეთის სახით ერთი მშობლიური კუთხე უკვე დამაკარგვინა!

## მძიმ-ნეშროკათოლოზ ომარ ძაძაძიას

გაზეთ „ილორის“ საშუალებით მინდა გამოვხატო მადლობა, ქ. სენაკში მოღვაწე ექიმ ნერვოპათოლოგის ბატონ ომარ ძაძაძიას მიმართ. ქართველ ბრძენ კაცს უთქვამს, **„წუთის წუთია ქვეყანა“**. თუმცა ბევრი როდი ფიქრობს წუთისოფლის წამიერებაზე, მაგრამ როგორც კი განსაცდელი მოველინება ადამიანს, მაშინვე ხვდება როგორი ცრუ და დაუნდობელია წუთისოფელი.

დღეს წარმოუდგენელია იცხოვრო დედამიწაზე მედიკოსთა გარეშე, სწორედ ექიმები გვიხანგრძლივებენ სიცოცხლეს ავადმყოფ ადამიანებს.

თუმცა ადამიანთა ყველაზე დიდი მკურნალი და მხსნელი, ყოველგვარი უბედურებისაგან ალბათ თვით ღმერთია, რომელმაც შეგვქმნა და მოგვცა გონება, და ჩაგვიდო უკვდავი სული.

კარგი ექიმი და მიგნებული წამალი, სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი გზაა, სწორედ ბატონი ომარი ექიმი, რამდენიმე წელია მუხლნაუსრეულად იღვწის ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად. ის ხასიათდება პაციენტებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ამ ახოვანი აღნაგობის

კაცს, ვინ მოთვლის რამდენი ადამიანისათვის შეუნარჩუნებია ესოდენ ძვირფასი სიცოცხლე ზუსტი დიაგნოზის დახმობით, თუნდაც უანგაროდ.

ვერანაირი სრულყოფილი კომპიუტერული აპარატურა ვერ შეცვლის გამოცდილი კვალიფიციური და ყურადღებიანი ექიმის როლს, პაციენტის მკურნალობის პროცესში.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, პროფესორი იური მოლაშხია, ნობელის პრემიის ლაურეატობაზე წარდგენილი, ბატონი ომარის ლექტორ-მასწავლებელი სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ომარს თვლიდა ერთ-ერთ საუკეთესო ფრიადოსან სტუდენტად და პაციენტებს ურჩევდა მასთან გაეცლოთ მკურნალობის კურსი. სწორედ ამიტომ ემადლიერება მას მთელი სენაკის რაიონის მოსახლეობა და არა მარტო სენაკის.

ბატონო ომარ! ღმერთმა დალოცოს თქვენი საქმე, წარმატებით გედგაწოთ ამ ურთულეს სფეროში და გიმრავლოთ ჯამრთელი და მადლიერი პაციენტები.

**ბიჭიკო თუნთია  
ქ. სენაკი**

## ბიოგრაფი ჭყონდიდელის ზობი უცნობი დეტალი


მეუფე გიორგი ჭყონდიდელი იყო დავით აღმაშენებლის **„აღმზრდელი და თანაგამაფრეული ყოველთა გზათა, საქმეთა და დგაწლათა მისთა“**. გიორგი **„ეითარცა მამა მეფისა, ვერტოვე ყველა საურავი უმისოდ არ იქმნების“**. მეუფე გიორგი იყო **„მართლმსაჯული უღონოთა და ქვრივთ ხელისმყრობელი“**.

1104 წელს მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების **„იგელისწერა“** წმინდა გიორგი ჭყონდიდელს **„კრების თვალს“** უწოდებს და კურთხევით იხსენიებს მის მეუფებას: **„ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმიდისა ამის კრების ცნობილისა გიორგი მონოზონისა და მწიგნობართა უხეცვისა მარავლმცა არიან წელნი“**. სწორედ გიორგი ჭყონდიდელის პრინციპულობის შედეგი გახლდათ სულმრუდი მღვდელმთავრის ლეონტი მროველის ეკლესიიდან მოკვეთა, რის შემდეგაც გაბოროტებულმა მროველმა ერთიანად გააყალბა და შერყვნა საქართველოს ისტორია.


ჭყონდიდელის ხელმძღვანელობითა და გამჭრიახი მოქმედებით ქართველებმა დაიბრუნეს თურქების მიერ დაპყრობილი ქალაქი სამშვილდე, ხოლო 1115 წელს გაათავისუფლეს ქალაქი რუსთავი, რასაცა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

სულმნათი გიორგი ჭყონდიდელი 1118 წელს მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში ყივჩაღი მეომრების საქართველოში ჩამოსაყვანად, როდესაც ოსები არ უშვებდნენ მათ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებულმა ჭყონდიდელმა მოლაპარაკება მოახერხა და ყივჩაღებიც ჩამოსახლდნენ საქართველოში და შერწყნენ ქართველებს. როგორც ჩემთვის ცნობილია, ასაკისა და თავდაუზოგავი შრომისაგან დაქანცული გიორგი იქვე გარდაცვლილა.

გიორგი ჭყონდიდელი ასევე აქტიურად მონაწილეობდა მრავალ ომებში და მრავალი ნაკრი-







# პრემიასანი საქართველოში – შოთა რუსთაველი

## რუსთაველის ისტორიულ-საზოგადოებრივი გარემოცვა

ამრიგად, არაბული ცივილიზაცია მძლავრად გაიშალა თითქმის მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოში. გასაკვირი არაფერია, რომ ქართველმა მწერალმა ქართული შემოქმედებითი თემების პორიზონტი გადაიტანა არაბეთის ცივილიზაციის არეში: **“ეფესისტყაოსნის”** არქიტექტონიკა, მისი რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები შეიცავენ არაბეთის ტრადიციას, მაგრამ ქართულ ფონზე.

ალექსანდრიისა და ძველი სპარსეთის მემკვიდრეობაზე არაბეთის ცივილიზაციის ორგანიზაცია იწყება არაბეთში სავაჭრო კაპიტალის განვითარებით: რამდენადაც აღმოსავლეთის ტრადიციულ სახელმწიფოთა წყობა იშლებოდა, იმდენადვე სწრაფად ვითარდებოდა სავაჭრო კაპიტალი აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოში. X-XII საუკუნეებში ვაჭრობა მძლავრად იკიდებს ფეხს როგორც ევროპაში, ისე აზიაში; რაც მარსელი იყო ეკონომიკურად შუა საუკუნეების ევროპაში, ალექსანდრიის შემდეგ, იგივე იყო შუა საუკუნეთა აზიაში ბაღდადი; ხმელთაშუა ზღვის გემების მაგვირობას აღმოსავლეთის უდაბნოებში ასრულებდნენ აქლემები; ბაღდადი, მქა, ყარაყორუმი, სამარყანდი, ბასრა, ორმუხი ერთმანეთთან ვაჭრობდნენ არა მარტო ფარებითა და სხვა ძვირფასი ქსოვილებით, არამედ უძველესი ხელნაწერებითაც, პერგამენტებით, ეტრატებით, წარსულის ძვირფასი ნაშთებით.

საქმე ისაა, რომ მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში სავაჭრო კაპიტალი იშვიათი და უჩვეულო სიჩქარით ვითარდება, ვაჭრები ენერგიულად ებრძვიან ფეოდალურ-პოლიციურ და ტრადიციულ-კლერიკალურ პოლიტიკას სხვადასხვა ქვეყნებში. სავაჭრო კაპიტალის განვითარებით დაიწყო პროცესი დემოკრატიზაციისა მსოფლიოში და ასეთი დიდი აგრესიულ-კლერიკალური პოლიტიკური ფაქტორი, როგორც იყო ჯვაროსანთა ლაშქრობა, ისტორიულ-კომერციული აქტით დაამთავრა. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია ორი აჯანყება თამარ მეფის დროს. მეორე აჯანყებაში ვაჭრებმა ისე იმარჯვეს, ისეთი გავლენა მოიპოვეს სახელმწიფოში, რომ ბოლოს და ბოლოს თამარ მეფის გათხოვება მათი უშუალო მონაწილეობით მოეწყო.

კლერიკალიზმისა და ფეოდალური ეკ-

ლესიის ევროპული ვითარება თანდათანობით ირყეოდა. ჯვაროსანთა მეექვსე ლაშქრობა იყო ერთგვარი დაცინვა ეკლესიისა და კლერიკალური პოლიტიკის. ფრიდრიხ მეორე და სულთანი წინასწარი განზრახვით შეხვდნენ ერთმანეთს ეგვიპტეში. ყველას ეგონა ქრისტიანებისა და მუსლიმანების შეხვედრა სისხლიანი იქნებოდა, მაგრამ ფრიდრიხ მეორემ სულთანს ომისა და ბრძოლის მაგიერ ლაპარაკი დაუწყო ვაჭრობის შესახებ და მოლაპარაკება გათავდა 1228 წელს სავაჭრო ხელშეკრულებით. ამან დიდი აღელვება გამოიწვია ფეოდალებსა და სამღვდელთაში. მართლაც, ეს იყო სრული დამარცხება დასავლეთ ევროპის ფეოდალურ-კლერიკალური პოლიტიკისა და დიდი გამარჯვება სავაჭრო კაპიტალისა, რასაც შედეგად მოჰყვა ფილოსოფიის, პოეზიის, ხელოვნების განვითარება და რამაც დასაბამი მისცა რენესანსს, უფრო გარკვევით რომ ითქვას – პრერენციზმს.

ასეთივე სოციალურ კლასობრივ წინაღმდეგობას ჰქონდა ადგილი საქართველოში ფეოდალურ არისტოკრატიაში და ვაჭართა კლასს შორის; მართლაც ფეოდალები და კლერიკალები სისტემატურად ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როდესაც საქართველოში დემოკრატიული იდეები შემოიტარა, კლერიკალები და ფეოდალები შეთანხმდნენ და დაიწყეს ბრძოლა ვაჭრების წინააღმდეგ; მეთორმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა დემოკრატიული პრინციპი სამღვდელთა არჩევისა **“უაზნო”** წრიდან; ეს იყო ერთგვარი რეფორმატორული ნაბიჯი არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, მაგრამ გარკვეული კლასობრივი მიზეზი ამას მაინცდამაინც არ ჰქონდა. თამარ მეფის დროს აჯანყებები საინტერესოა როგორც გარკვეული ფორმა კლასობრივი ანტიგონიზმისა, რომლის პირობებშიაც ვითარდებოდა ლიბერალური იდეები და პრინციპები, რომელთაც **“ეფესისტყაოსანში”** ვხვდებით.

საზოგადოოდ, ფეოდალები და ვაჭრები თავიანთი ბუნებით ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან; ფეოდალების კულტია უძრობობა და სტაბილურობა; ვაჭარი თავისი ბუნებით და პროფესიით მოძრაობს; ფეოდალს ცენტრალიზაცია არ უყვარს, იგი თვითონაა ცენტრი; ვაჭარი ყოველთვის ცენტრისკენ მიდრეკილია, ბოლოს და ბოლოს, თამარ მეფე და ვაჭრები უნდა შეთანხმებულიყვნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ფეო-

დალები ცენტრიდან გარბოდნენ, რადგან ცენტრი ბოჭავდა მათ უფლებებს, ხოლო ვაჭრები ცენტრისაკენ მიისწრაფოდნენ იმდენად, რამდენადაც მათ ესაჭიროებოდათ უფლების მოპოვება.

ამგვარად, მეფე და ვაჭრები უნდა შეთანხმებულიყვნენ; მათ უნდა გამოენახათ ერთგვარი **modus-ი**. აქი თამარ მეფის დროს სახელმწიფოებრივ გარჩევად ვაჭრებიც იღებდნენ მონაწილეობას; საინტერესოა, რომ თამარ მეფის გათხოვების ამბავი და საქმროს ძებნა დაიწყო მხოლოდ აჯანყებათა საბოლოო ლიკვიდაციის შემდეგ; საქმროს ძებნაში ერთგვარ როლს თამაშობდა დიდი ქართველი ვაჭარი ზორაბაძე; ცხადია, ვაჭრებსაც ეკითხებოდათ სახელმწიფოებრივი საქმეები. 1186 წლის აჯანყების შემდეგ იწყება ქართული სოციალური კულტურის დემოკრატიზაცია; ვაჭრები იკავებენ სახელმწიფოში თვალსაჩინო ადგილებს; რამდენადაც ვაჭრები, როგორც სოციალური ძალა, მეორე აჯანყებაში დაუპირისპირდნენ ფეოდალებს, იმდენად მეფე და ვაჭრები შეთანხმდნენ; ამ სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-უფლებრივ რეფორმას, ბუნებრივია, მოჰყვა ფსიქოლოგიური ლიბერალიზმი, კუმანიზმი და ესთეტიზმი, თუმცა, თამარ მეფის ეპოქა ბოლომდე ზამნა ფეოდალური აბსოლუტიზმის ეპოქაა.

მეთორმეტე საუკუნე საყურადღებო ეპოქაა ევროპაშიც. ერთგვარი სისტემა მმართველობისა უკვე ჩამოყალიბებულია, ადამიანის საზოგადოებრივი ყოფა შედარებით გაუმჯობესებულია; ქალაქებში ვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა. მეცამეტე საუკუნის დამდეგს ევროპაში ჩვენ ვხვდებით კულტურის დიდ ცენტრებს – ვენეციას, გენუას, ფლორენციას, ლისაბონს, პარიზს, ბერგენს. განათლებულმა მეფემ, ფრიდრიხ მეორემ, ნეაპოლში დააარსა უნივერსიტეტი. არაბებმა არისტოკრატებს ნაწერები შეიტანეს ევროპაში; არაბულმა ფილოსოფიამ გამოაღვიძა ევროპის აზროვნება; მეთორმეტე საუკუნიდან ევროპის ქალაქებში – პარიზში, ოქსფორდსა და ბოლონიასში იმართება ფილოსოფიური დისპუტები; სქოლასტიკის საფუძველი ჩნდება ადამიანი, რომელიც ქალაქებს ექსპერიმენტებს; ეს არის როჯერ ბეკონი. არაბებმა შემოიტანეს ევროპაში ქალაქის დამხადების ტექნიკა, თეთი არაბებმა კი იგი ისწავლეს ჯერ კიდევ 751 წელს, ჩინელებისაგან, ქალაქ სამარყანდში. ევროპაში არაბების შემოსვლას მოჰყვა ევროპელების გამგზავრება აზიაში. რომის პაპს გაუჩნდა

იმედი მონღოლების და მუსლიმანების გაქრისტიანებისა. მეცამეტე საუკუნის სამოციან წლებში იტალიელი ვაჭრები, ძმები პოლოები, მოგზაურობენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. იყვნენ ჩინეთში, ჰქონდათ აუდიენცია ყუბილაი ყაენთან, რომლითაც ისინი ისე კმაყოფილი დარჩენილან, რომ სამშობლოში დაბრუნებულები კვლავ გამგზავრებულან ჩინეთს 1271 წელს. მათ თან წაუყვანიათ თავიანთი ძმისწული მარკო პოლო. ამჯერადაც ისინი ბრწყინვალედ მიუღიათ, სრულიად ახალგაზრდა პოლოკი დაუნიშნავთ ქალაქ იან-ჩუს გუბერნატორად. აღმოსავლეთის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ვიღაც პოლო ირიცხებოდა ჩინეთის საიმპერატორო საბჭოში 1277 წლამდე; შესაძლებელია, ეს იყო მარკო პოლო, რომელიც ევროპაში დაბრუნდა 1295 წელს. პოლოებმა პირველი მოგზაურობის დროს გაიარეს პალესტინა, საიდანაც დიდი წვალებით წამოიღეს იერუსალიმის წმინდა ზეთი, რომელიც თითქოს ქრისტეს საფლავთან ენთო, შემდეგ გაიარეს კლივია, სომხეთი, სპარსეთი, ქალაქ ორმუხში კი შეხვდნენ ინდოელ ვაჭრებს. მარკო პოლო ყოფილა საქართველოშიც. ვაჭრებისა და ატაშეების მოგზაურობას ევროპასა და აზიას შორის მოჰყვა კათოლიკე მისიონერების **“გოიაეები”** აღმოსავლეთში და, კერძოდ, საქართველოში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენს სამღვდელთაში ჰქონდა უშუალო კავშირი ბიზანტიასთან: საქართველოში ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ხატები, ეკლესიის მორთულობანი, მხატვრული ფრაგმენტები, საღვთავეები; ბიზანტია, ყარაყორუმი, სამარყანდი, ბაღდადი კომერციულ და კულტურულ-მეცნიერულ ურთიერთობაში იყვნენ. მეთორმეტე საუკუნის დამდეგი და მეცამეტე საუკუნის დასაწყისი აზიასა და ევროპაში ქმნის თითქმის ერთნაირ კულტურულ-ცივილურ არეს, რომელსაც ისტორიულად წინ უძღოდა ხალხთა დიდი გადასახლებანი, ჯვაროსანთა ლაშქრობა, სხვადასხვა კუთხეთა და სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ინტერესები. საქართველო ტერიტორიულად მოქცეული იყო ამ არეში, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა მის ისტორიულ-კულტურულ მაჯისცემასზე.

კონსტანტინე კაპანელი  
(გაგრძელება იქნება)

# შვეყანა სახელად “საბიბრჩი”

## პროვოკატორის ბლოგი



მეტამორფოზა არაქართული სიტყვაა და **“ნაციონალის”** გირჩად გადაქცევას ნიშნავს, ამავე სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობაც, მაგალითად, **ქინძი** – თანამედროვე ქართული პოლიტიკის ლექსიკონში.

ცოტა ხნის წინ ექსპრეზიდენტმა განაცხადა თუ ასე და ასე არ ვქნა, ქინძი ვიყო. საზოგადოებას ეს ამბავი მონელებული არ ჰქონდა და ქართულ პოლიტიკურ ფლორას კიდევ ერთი სახეობა შეემატა – გირჩი, საინტერესოა ახლა კიდევ რომელი ობიექტი თუ სუბიექტი დგას რიგში, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით...

მანამდე კი ვეტყვით, რომ თურმე სკანდინავიის ქვეყნებში საინფორმაციო

გამოშვება ამინდის პროგნოზით იწყება, რა ქნან საწყლებმა იქ არც გოგი თოფაძე ჰყავთ, რომ ერთ დღეს პარლამენტიდან წავიდეს (საინტერესოა მის კაბინეტში დავანებული სტალინის ანრდილი თუ გაიყოლა), არც **“რუსთავი 2”** აქვთ, რომ დაარსებიდან დღემდე ის არკვიონ ვინაა მეპატრონე და რაც მთავარია, არ ჰყავთ შაღვა ნათელაშვილი, რომელიც თუ ოდესმე ხელისუფლებაში მოვიდა საკუთარ თავს ჩაუდგება ოპოზიციაში და ამხელს.

სხვათა შორის, საწყალ სკანდინავიაზე არც ისეთი ელჩი მსახურობს რომელიც დღეს და დამეს ურევდეს ერთმანეთში. პო, საქართველოში აშშ-ს ელჩმა თქვა: სასამართლომ **“რუსთავი 2”-თან დაკავშირებული გადაწყვეტილება შუადამისას მიიღო**, მაშინ როცა სასამართლო გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში შევიდა 18:00 საათზე და დილით 09:20 საათზე რევიტრაციაში გატარდა. პრინციპში არაფერია ამაში გასაკვირი, ამერიკის ელჩი დაახლოებით 2 თვეა რაც საქართველოშია და როგორც ჩანს, ადაპტაცია გაუჭირდა, ისევე ამერიკული დროით მოქმედებს...

**“რუსთავი 2”-ის** გარშემო ატეხილი ამბები ღმერთმა უწყის როდის ჩაცხრება, ნაწვიმარზე არ ამოდის იმდენი სოკო, რამდენი მეპატრონეებიც **“რუსთავი 2”-ს** გამოუჩნდა. ყოველ ცისმარე დღეს ახალი ვიღაც გამოთქვამს პრეტენზიას. ცოტაც და მეც ვიცდი ბედს, ვიტყვი, ჩემია, ჩემია-მეთქი.

გულწრფელად რომ გითხრაო, ბატონი

გოგის პარლამენტიდან წასვლა იმაზე მეტად გამიკვირდა ვიდრე ქრიშობელას გაუკვირდა ერთაოზისაგან ვალის დაბრუნება. წინა ხელისუფლებას წესად ჰქონდა, როდესაც რომელიმე პოლიტიკოსი თანამდებობას სტოვებდა, როგორც წესი სასწავლებლად უშვებდნენ ხოლმე, მეექვსეა ბატონი გოგი სასწავლებლად გაუშვან. როგორც ჩანს, ბატონ ბიძინას ქეფისას ცოტა მეტი მოუვიდა, მეტე ნაბახუცეზე ლუდი მოუნდა, თოფაძემ ეს რომ გაიგო ლუდი ჩემზეაო, პოდა, როგორც კი გაიხიჯა პირველმა მოქალაქემ ლუდი, გოგომ მაშინვე პარლამენტი დატოვა. რას ვიზამთ ეგრე ბუნების კანონი, ყველაფერი ჯაჭუჭურადაა ერთმანეთზე გადაბმული.

თოფაძის პარლამენტიდან წასვლა რომ გაუგია გრიშა ონიანს სულ კედლისათვის ურტყამს თავი, ძლივს ემთხვევა სტალინელი იყო პარლამენტში და იმისაც უშვებთ, აბა, თქვენ ხალხი ხართო. ნუ, დარდობთ ბატონო გრიშა, დამერწმუნეთ არ ამბობენ თორემ გოგის აზრს ბევრი იზიარებს, შეხედეთ რა დღეშია ქვეყანა და მიხვდებით, რომ სიმართლეს ვამბობ.

ახლა კი კვლავ გირჩზე, ქართული პოლიტიკა ფრიად განებრივებულია ნაირნაირი პარტიებით, მის წიაღში რა ჯურის და მოდების პარტია არ აღმოცენებულა, თუმცა პარტია სახელაფრებით, **“გირჩი”**, ნამდვილად ნოვაციაა არამხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში.

**“გირჩის”** ერთ-ერთი ნათლია პარტიის ლიდერი გოგა ხაჩიძეა, რომელმაც სახელი ასე ახსნა: **“გირჩი განახლების სიმბოლოა,**

რომელსაც მრავალმხრივი განშტოება აქვს, მაგრამ ერთი ერთობლიობაა. ყველაგან არის გირჩი – ქალაქშიც, სოფელშიც...”

სამწუხაროდ, ბატონ გოგას აქაც დაავიწყდა საკუთარი დაბა, არადა სურამი მიაქვს გირჩებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მის ქვეცნობიერში დაღეკილი იყო ბავშვობის დროინდელი სურამის ტყე, ნაძვები, რამაც სწორედ პარტიის სახელში ჰპოვა ასახვა.

თუ **“გირჩები”** უმრავლესობით მოვლენ პარლამენტში, საკანონმდებლო ორგანოს ოთახების გარკვეული რაოდენობა შეგვიძლია ბავშვთა და მოზარდთა სასუნთქი ორგანოების სარეაბილიტაციო ცენტრს დაეთმოთ, რადგან ნაძვის მტვერი იდეალურია სასუნთქი გზებისათვის. პარლამენტის მიღებარე ტერიტორიაზე დაარსდება ციფრების კონტროლის ცენტრი რადგან სადაც გირჩია, იქ ციფრიც ჩნდება.

წინასაარჩევნოდ ძალიან საინტერესო სლოგანები ექნებათ **“გირჩებს”** ასე მაგალითად: – გაწიწვიანდით ყველა ახლად შექმნილ პარტიაში!

გვ, ისე აირია ქართული პოლიტიკური სივრცე ვეღარ გაიგებ ვისი გირჩი ვის ნაძვზეა.

p.s. რაღა დავმალო და პირველად გავიგე ქინძის თესლით თუ გირჩის მოყვანა შეიძლებოდა.

რაც შეეხება ჩემს ერთ-ერთ მეზობელს, ამ ამბის შეტყობის შემდეგ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: **“გირჩის მურაბა მიყვარდა ძალიან და ამ დალოცვილებმა იმდენი გააკეთეს, რომ გირჩის ნაცვლად ნაძვის ხის მტვერი შეგვატოვეს ხელში!”**



# ღია წერილი ქალბატონ სეველია უბრალოებს

ყოველგვარი შესავალ-წინასიტყვაობის გარეშე გვსურს მოგმართოთ და გულახდილად, დაუფარავად გვსურს გაუწყლოთ, ვფიქრობთ, ბევრი ჭეშმარიტი ქართველის სათქმელი.

კარგით, გეყოფათ, ქალბატონო სეველია ქართველებისათვის ურგები სამსაღის ასე დაუსრულებლად გადმოფრქვევა. თუმცა მგზნებარე და გულაგიზიზებული “ნაციონალისაგან” ეს გასაკვირი არ არის. შავბნელი და ვითომცდა თვალს მიფარებული მბრძანებლის დავალებით, ჩანს, თქვენმა ქართველთმომსახურე უცხოტომელმა ბელადმა, ნაციონალური “ვერსუშის” წევრებს მითიური პერპეტუუმ-მოზილე ჩაგიდგათ და ამიტომაც მოეძინება დაუსრულებლად, ადამიანის უსწრაფესად მომადინებელი შხამი, ბაღდაში, ყველანაირი ჭეუჭი და სიბინძურე. პოდა, როგორც კი დაიკვლებით და დაიწრებებით, უმაღ უფრო დიდი ოდენობის საწამლავეთ ივსებით. ასეა, პერპეტუუმ-მოზილე ხომ “მუდმივი ძრავა”...

ამბობენ, გველის შხამს სამკურნალოდ იყენებენო. თქვენგან გამოყოფილი “ნაციონალური” შხამი კი უსწრაფესად მომადინებელია.

დაშოშმინდით, იკმარეთ მართალი ქართველების დაუნანებლად და შემადრწუნებლად დატყორცვა-დაზაფვრა. თუმცა, ამის მიუხედავად და თქვენდა სავალალოდ, მაინც ვუძლებთ თქვენგან წამოსულ გრი-გალისებურ მძინვარებს და ვცოცხლობთ.

ვიცი, რომ შეუძლებელია ნაციონალი “ნაღებისათვის” ამაში დარწმუნება, მაგრამ, მაინც შეგაგონებთ იმას, რომ ქართველთა არსებობის სამათასწლიანი ჯვარცმული ისტორიიდან გამომდინარე, ვერანაირმა ურ-ნხულმა თუ გველეშაპმა ვერა და ვერ შეძლებს ჩვენი მოდგმა-ჯილაგის გადაშენება, მოსაპობა და გაქრობა.

ამიტომ, ნაციონალებმა აუცილებლად იწამეთ და შეიგნეთ, რომ ვერც თქვენ ეღირსებით, ვერ მიადევთ ჯოჯოხეთური ტირანიაგადატანილი, დროებით დაუძღვრებულ-დაჯაგაწვეტილი ქართველებისთვის იგივეს გაკეთებას. ქართული ჯიში, სული, ვერავისგან დამორჩილებული, დაუმარცხებელი, უკვდავია და მართალი. ისიც აუცილებლად დაიჯერეთ, რომ ქართველები სულ მალე სამუდამოდ მოგიკვეთენ სატანასთან წილნაყარებს. სხვა გზა არა გაქვთ, უნდა შეგუოთ თქვენთვის მწარედ მოსასმენ სიმართლეს!

ჭეშმარიტ ქართველებს, მფარველი დვითისმშობელი არ გაგვწირავს. სამაკვროდ, თქვენ, საქართველოს მომადინებელ სიმსივნედ და სახადად მოდებული მანქნოთ და კოსმოპოლიტო ნაცე-

ბო, მალე მოგვლით სამუდამო დასამარება და გაქრობა, ვითარცა თბილისის ქუჩებში მოვაჭრე ბოშებისაგან გაყიდული პლასტიკის მარტივი ნაკეთობისაგან საპნიანი ხსნარით წარმოქმნილ წამიერად გამქრალ ბუშტებს!

ვფიქრობ, განათლებული ქალბატონი ბრძანდებით. გვახსოვს, მუსიკოსი იყავით, მერე გაიურისტდით და ბოლოს “განაციონალ-გაპოლიტიკოსდით”. გეყოფათ ამხელა სიმძიმის – “საერო ტვირთის ზიდვა”, შეისვენეთ! ჩანს, ქუდბედიანი შობილხართ და “მრავალმხრივი ნიჭით” დაუსაწყურებოხართ არსთამრიგებს. ეს კი მხოლოდ “რჩეულთა” ხვედრია.

ისიც შევიტყუეთ, ზვიად გამსახურდიასა და მისი თანამოაზრე-თანამდგომებისაგან აბორგებული ეროვნული მოძრაობის დროს მას “ბაღდადშიცობდით”. ბარაკადა, თქვენ! და, ამის მერე, “ნაციონალებთან” მიხვედით?.. აღმოჩნდა, თურმე თავიდანვე მათთან ყოფილხართ. მაინც, როგორ ინიღბებოდით ასე ოსტატურად; მდევრი ორსახოვანი იანუხი ყოფილხართ. ზემოთ ნახსენებთან ერთად, სამხახილო ნიჭითაც უხვად კალთავადმოფერთხებული ბრძანებულხართ.

ყოჩაღ! რაღა გინდათ. დაგიფასეს კიდევ თანამოსაქმე პარტიელებმა თქვენგან გაწეული დიდი ღვაწი და გარჯა. ამიტომაც წამოგსვეს ქვეყნის დამნებელი, პირდია და დორბლმდინარე, ცხეში ჩაყუდებული გიგუშას სკამზე.

ამბობენ, ამ ავაზაკმა დიდი ფული მოიპარაო. ნუ პოლია, რომ შერება, უკლე-ბლივ დააბრუნებინებენ ნაქურდალ-მითვისებულს. მთელი თბილისი გაძარცვა-გააპარტახა, სამარცხვინოდ გადმოვარდნილი ფაშვი მითქვია, მერე ვენაში რომ იმკურნალა და ცოტათი რომ დაიწუტა. თქვენ კი დანაშაულებრივად წიოკობთ – მართალიაო!

საინტერესოა, ასეთი რა ჯადო აქვს მაგ ცოდვიან სკამს, სიცოცხლის შესაწირადაც რომ იმეტებთ თავებს?!

ალბათ, არის ისეთი, რასაც აუცილებლად გაგვიხველთ, სასამართლოს წინაშე წარმდგარი. ეტყობა, ყველანაირად სარფიან-ხელსაყრელია ეგ სკამი, ასე რომ მისტირით ჩვენი ჯვარცმული სამშობლოს ამოხრებელი “ნაციონალები”, საქართველოს გასავერანებლად მოვლენილი “ნაციონალები”! თქვენი ღმერთი და სამშობლო ხომ ოკეანისგაღმდიან “ნაფეშქაშები” დოლარები, რომელთა დიდი ოდენობით მოსავერ-აგებლად შეჯიბრება-ჯირითი რომ გაქვთ განაღებული. არა და, ყველაფერი ხომ დროებითია და დადმავალ-წარმავალი?

თქვენი მერიაში მუშაობის დროს როგორღა “მიდიოდა საქმეები”? მრავალგზისი

განცხადებით, ყველაფერი “აუფრში გქონდათ უკანასკნელ თეთრამდე”, “უმკაცრესი ნაციონალური სტანდარტებისა და კანონების შესატყვისად”. ძალიანაც კარგი, ენახოთ, დაველოდოთ მოვლენებს!..

ქალბატონო სეველია! შეჩერდით, დადუღდით და დაღვინდით; შეისვენეთ და ამოისუნთქეთ. კმარა, ამდენი სიცრუის, სიბინძურისა და შხამის ფრქვევა. იქნებ სადმე გამონახოთ სპეციალისტი ვინმე და ის შემოხსენებული პერპეტუუმ-მოზილე გამოგირთოთ. თორემ, უკვე ნამეტანს სწადიხართ, თანაც, წარმოუდგენლად სამარცხვინო და თავისმომტრულად სიბრალულის დიმიდისმომტრეველია ტელეკრანზე ყოველი თქვენი გამონენა და “ბედდამწვარი ქართველის დედის” როლის უღაზათოდ გათამაშება. არ გამოვლდით, ძალზე ყაღბია და გულისამრევად იაფფასიანი. შეწყვიტეთ უაზრო და უძალი ქოთქოთი, მოწინააღმდეგისათვის ქოქოლის დაყრა, ტალახის სროლა და პრიმიტიული განმარტება-კომენტარ-წამოძახილების გაკეთება, ქალბატონო სეველია.

და საერთოდ, გვინდა შეგკითხოთ: იცით რას ნიშნავს, ყველასათვის ესოდენ სავალდებულოდ და აუცილებლად საცოდინარ-შესასრულებელი სიტყვა “სირცხვილი”?

დასანანია და ჩანს – რომ არა! ამიტომ, იქნებ ნათესავ-მეზობელ-მეგობრებთან გაიკითხოთ რაიმე მის შესახებ. სულაც, იქნებ ქართული ენის განმარტებითა და სულხან-საბას ლექსიკონებში ჩაიხედოთ და მრავალგზის წაიკითხოთ, შინაარსობრივად გახეპრებამდე. და, თუ ამის ქნა დაგეზარებათ, თბილისის საკრებულოს სხდომაზე მორიგი ფუჭი, უძალი და ვერაფრის მიმღწევი არეულობა-აურზაურის მოსაწყობად მიმავალმა, ინებეთ და ძვირადღირებული ლიმუზინიდან გადმოსულმა გააჩერეთ ქუჩაში მიმავალი მეორე-მესამე კლასის მოსწავლე თუ ასაკოვანი მოქალაქე და ჰკითხოთ სიტყვა “სირცხვილის” განმარტება.

დარწმუნებული ვარ, პასუხი იქნება ზუსტად და მარტივად გასაგებად გაცემული. კარგი იქნება, თუ ამ ორივე წინადადებას ჩაიწერთ, რომ შინ ყოფნისას ხშირად წაიკითხოთ და გაითავისოთ ყველა ქართველისათვის უეჭველად შესასრულებელ-დასაცავი ეს უადრესად საჭირო სიტყვა.

ქალბატონო სეველია! თქვენ კი მაინც გვინდა გითხრათ უბრალო ჭეშმარიტება: სულ ოდნავ გაიხედეთ წინ და დაფიქრდით, ქართველი დედა და ბებია ბრძანდებით. თუ მხედველობა შეგიუსტდება, დროზე მიხედეთ. თქვენი ნამდვილად არ გაგი-

ჭირდებოთ უცხოეთის ჰიპერკლინიკებში მკურნალობა და უზუსტესი სათვალის შერჩევა.

საქართველოზე უსწრაფეს და მომადინებელ სიმსივნედ მოდებულმა ნაცებმა ხომ ყველაფერი იღონეთ და გააკეთეთ, წარმოუდგენლად ეცადეთ ჩვენი სამოთხისდარი სამშობლოს ჯოჯოხეთურ უფსკრულში ჩასაჩეხად და გასაქრობად, ქართველების გასანადგურებელ-გადასაჯიშებლად.

თავზარდამცემად დაგვაცოტავეთ ამაყი და ჯიშინი ქართველები; მილიარდები მოგვპარეთ და პირუშინდად წავგვიღოთ ჩვენი გარჯით დაგროვილი დოვლათი, სულ ცოტადა დაგრჩათ სატანური დავალების აღსასრულებლად.

ღმერთმა დაგიფარა და გადაგვარჩინა!!!

ქალბატონო სეველია! დაფიქრდით, თურახა იქმთ. თქვენმა მოდგმა-მონაგარმა ხომ ზოგჯერ მაინც უნდა ინებონ ქუჩაში გაგლა, სამსახურებში თანამშრომლებთან ურთიერთობა და არ იგრძნონ თავი შერცხვენილებად. ევრლას ხომ ყველაფერი გვახსოვს და ყველაფერი კარგად ვიცით!

სასწრაფოდ მიაშურეთ ეკლესიას! მუხლი მოიყარეთ და შუბლით შეეხეთ გრიდ ფილაქანს, გულწრფელად და მხურვალედ ილოცეთ. ღმერთს, უპირველესად, პატიება შესთხოვეთ “ნაციონალობის” გამო. სატანასთან წილნაყარ თანამოაზრე-მოსაქმეებისაგან დაუყოვნებლივ განდგომა-მიტოვება აღუთქვით!

ბოლოს კი იმას შემოგითვლით, საიდანაც მოვლენილ “ნაციონალებს”, დღემდე რომ ვერ მიმხვდარხართ და ვერ გაგივიათ უმარტივესი ცხოვრებისეული ჭეშმარიტება: დაიჯერეთ! მთლად ბოლომდე ვეღარ გიშველიან თქვენგან მოქრთმულ-გაპრეზიდენტებული ევრო-ამერიკელი “მფარველი” მბრძანებლები. მალე დაიბანენ ხელებს და ზურგს შეგაქცევენ დაუმორჩილებელი რაინდ ქართველებთან სამარცხვინოდ და მწარედ დამარცხებულები.

თქვენ, აგონიაში ჩავარდნილი ნაცებო, სწულ უსტაბაშთან ერთად, ქართველები სამუდამოდ მოგიკვეთენ და ჩაკოლავენ; სამარადჟამო, მარადიულ წვევლა-კრულვასა და გინებას არ მოგაკლებენ თქვენს მოდგმა-ჯილაგსა და ნაშეიერებს, “ნაციონალუბო”!

მალე მოგიწვეთ პასუხის გაცემა, ჩადუნელ ურიცხვ უმძიმეს დანაშაულების ყოველ წვრილმანზე საერთო-სახალხო სასამართლოს წინაშე წარდგომილებს!

პატივისცემით,

ბელა ჯილაშვილი, 2015 წელი, ნოემბერი

## საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ მიხეილ ბიორბაძეს

ბატონო მინისტრო, უწინარესად მსურს მოგესალმოდ და გისურვოთ წარმატება მამულიშვილურ საქმიანობაში... ახლა კი, ვუფრთხილდები რა თქვენთვის და ბუნებრივია ასევე ჩვენთვისაც ძვირფას დროს – ძალიან მოკლედ მოგახსენებთ ამ ბოლო დროს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ნოქალაქევის (არქეოპოლისის) მარცხენა მხარეს, დაახლოებით ორიოდე კილომეტრში არსებულ გორაკზე შექმნილი სიტუაციის თაობაზე. სიტუაცია კი, არც მეტი და არც ნაკლები უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიურ-ისტორიული კომპლექსის სიახლოვეს არის სავალალო და აი რატომ: არ ვიცი ვისი გადაწყვეტებით და ნებართვით, მაგრამ ზემოთხსენებულ გორაკზე საქართველოში ოდიოზურობით ცნობილი ჩონჩხების ოჯახური კლანის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახელზე დარეგისტრირებული კომპანია ატარებს სამუშაოებს უახლოეს პერსპექტივაში კირქვის მოპოვების და ცემენტის წარმოების მიზნით. სამუშაო პროცესში აქტიურად არიან ჩართული ჩინელებიც...

ჩვენ, ა. წ. 19 ოქტომბერს მივმართეთ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. მივუთითეთ მათ, რომ ეს შესაძლოა არქეოლოგიური კომპლექსისათვის საზიანო ყოფილიყო, ამიტომაც ვთხოვეთ სენაკელ ხელისუფალთ ამ საკითხის საჯარო, ღია წესით განხილვა. მოვუწოდეთ ასევე, რომ მანამ სანამ ყოველმხრივ არ იქნებოდა საკითხი შესწავლილი – მივლოთ ზომები სამუშაოების შესაჩერებლად. სამწუხაროდ, ჩვენი ხმა აღმოჩნდა ოდენ „ხმა მდლადებლისა უდაბნოსა შინა“... არადა, სარწმუნო წყაროდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ვინაიდან ზემოთაღნიშნული ტერიტორია მდიდარია კირქვით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებშიც ჰქონიათ განზრახვა იქ გაეხსნათ კარიერი. მაშინ საბედნიეროდ ეს განზრახვა არ განხორციელდა, რადგან მას დამცველად გამოუჩნდა წარმომართ სოფელ ეკის მკვიდრი, ტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ლაბორატორიის ინჟინერ ლაბორანტი ქალბატონი ჯულიეტა ადამია. ამ ქალბატონის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად პროცესში ჩაერთო ტაშკენტის ლაბორატორიაც და საბოლოო კვლევის დასკვნად დაიდო ის, რომ რელიეფის მრავალფეროვნება და ჰაერის ტენიანობა ხელს უწყობს მდინარეთა ქსელების სიხშირეს, რის გამოც ეკის მთა და მისი მიმდებარე ტერიტორია მდიდარია მიწისქვეშა წყლებითაც. აღსანიშნავია ასევე თერმული, მინერალური და კარსტული მტკნარი წყაროებიც... რაც მთავარია: ტაშკენტის ლაბორატორიის დასკვნაში ნაჩვენებია იყო ის, რომ ეკის მთაც და მისი მიმდებარე ტერიტორიაც ფაქტობრივად დგას ტბაზე და ხელოვნურად თუნდაც ერთი ლოდის ჩამოშლის შემთხვევაშიც კი – შეიძლება მთაზე ბუნებრივად უმართავი პროცესები დაიწყოს, რაც არამხოლოდ სენაკის რაიონს, არამედ, საერთოდ კოლხეთის დაბლობსაც დააზარალებს!..

ბატონო მინისტრო, ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ აგვეხსნა თქვენთვის მდგომარეობის არსი. აწი ვიტოვებთ იმედს, რომ თქვენი კომპენტენციიდან გამომდინარე მიიღებთ ყველანაირ ზომას ჩვენი ეროვნული, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნოქალაქევის (არქეოპოლისის) არქეოლოგიური კომპლექსის შესაძლო დაზიანებისაგან დასაცავად.

პატივისცემით,

ზურაბ კვარაცხელია  
სახალხო მოძრაობა „სამებროლო“ რეგიონალური რწმუნებული.  
ქ. ზუგდიდი





ლაშა გახარია – ქართულ პოეზიაში მოვარდნილი ბრიგალი



8 ნოემბერს დიდი დღესასწაული იყო ჩხოროწყეში – უკვე ტრადიციად ქცეულ ჩხოროწყეშობას, თანამედროვეობის გამორჩეული პოეტის ლაშა გახარიას მშობლიურ სოფელში – მუხურში, მისი სახლ-მუხეუმის გახსნა დაემთხვა.

კოპწიად გამოიყურებოდა ლაშას ოდაბადე – აქ თავი მოეყარა მისი პოეზიის თავყვანისმცემლებს დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. მრავლად იყვნენ ჩხოროწყელებიც, რომლებიც მადლიერებას გამოხატავდნენ თვითნაბადი პოეტის აღიარების გამო.

ლაშა გახარია დაიბადა 1947 წელს სოფელ მუხურში. წერდა ლექსებს როგორც ქართულ ასევე მეგრულ ენაზე. პირადად ჩემი აზრით ის იყო ერთ-ერთი უძლიერესი მწერალი. მისი წერის სტილის შესაძლოა გუთოდ იდეალისტური და რომანტიკული, მაგრამ ამავე დროს ხშირია პატრიოტული სულისკვეთების გამოძახილი. უკურნებელი სენით დაავადებული პოეტი გარდაიცვალა 2004 წელს.

პოეტის სახლ-მუხეუმს სოფელ მუხურში სრული რაბილიტაცია ჩაუტარდა, რომლისთვისაც რაიონის გამგეობამ 46.000 ლარი გამოიყო. საკმარის შთაბეჭდავი იყო სახლ-მუხეუმის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი, რომელიც წაიყვანა რაიონის გამგებელმა ბატონმა დავით გოგუამ. ჩხოროწყეში მუხურში დირექტორის, ცნობილი ფილოლოგის ქნ ნაირა ციმინტიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სახელდახელოდ მომზადებულმა რეპერტუარმა გულგრილი არ დატოვა პოეზიის თავყვანისმცემლები – სცენაზე უხვად

„იღვრებოდა“ ლაშას პოეტური მარგალიტები.

საკმარის ემოციურად იყო დამუხტული სახეიმო ცერემონიაში მონაწილეთა გამოსვლები – სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ რაიონის გამგებელი – დავით გოგუა; პოეტი, ლაშა გახარიას პოეტური კრებულების უცვლელი რედაქტორი, ლია ნაროშვილი; პოეტი ლაშა გვასალია; ლაშა გახარიას მეუღლე, ცნობილი სპორტსმენი როზა ბერიკაშვილი; პოეტი და კრიტიკოსი იკა ქადაგიძე; პოეტი მერაბ კვიციანი; ცნობილი ჟურნალისტი გვანჯი მანია; ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტული ჟურნალისტი ელგუჯა ბერიკაშვილი; პოეტი მანანა თექთუმანიძე; ახალგაზრდა პოეტმა, ოთო ფალიანმა წაიკითხა ლაშას ლექსები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის კომპოზიცია, რომელიც ქალბატონ ნაირა ციმინტიას ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ადგილობრივმა მოსწავლეებმა – სცენაზე მხატვრული შესრულებით ცოცხლდებოდა ლაშას პოეზია...

ამ სახეიმო განწყობას ლაიტმოტივად გასდევდა ახალი კრებულის „ლაშა გახარია – ქართულ პოეზიაში მოვარდნილი ბრიგალი“ სულისკვეთება. როგორც წიგნის ანოტაციაშია ნათქვამი: „ლაშა გახარია ქართულ პოეზიაში მოვარდნილი ბრიგალია. იგი ისეთი ხმაურით შემოიჭრა ქართული პოეზიის ლაბირინთებში, გზის გასაკვლევად ხელის ცეცებაც არ დასჭირვებია. წერდა, მაგრამ მის საჯაროდ გამომხეურებას არ ჩქარობდა – სიცოცხლეში მხოლოდ ორი წიგნის გამოცემა მოასწროს!..“

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არა ლაშას მეუღლე – ქალბატონი როზა ბერიკაშვილი და მისი ერთგული მეგობრები ლაშა გახარიას პოეტური მარგალიტები ჭეშმარიტი პოეზიის თავყვანისმცემელთა გულს ვერ დაიპყრობდა.

...ლაშა არაორდინალური „მოლექსე“ და ასევე არაორდინალური პიროვნება იყო – იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თვითნაბადი ნიჭით და ქართველი ვაჟკაცისადმი დამახ-

ასიათებელი საუკეთესო თვისებებით – გამუდმებით ძერწავდა პოეტურ სტრიქონებს, მაგრამ მის გამოქვეყნებას არ ჩქარობდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნამდვილ პოეზიასთან წილნაყარობაში დარწმუნებული იყო.

„ხან მარტივია, ხანაც – მესია, თან წერტილია, თანაც – ანთარი პოეტი მაინც – ერთი ლექსია – ობლის ცრემლივით ცამდე მართალი.“

წერს ლაშა გახარია ერთ-ერთ ლექსში „პოეტი“.

რამდენი „ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“ ლექსია მის პოეზიაში.

კითხულობ ლაშას ლექსებს და რწმუნდები, რომ მისი სახით საქმე გვაქვს თანამედროვეობის გამორჩეულ პოეტთან, რომელმაც კარგად იცის, როგორ „მოიქნოს“ სტრიქონები და ჭეშმარიტი პოეზიით დაგატყვევოს!

სწორედ ლაშას თვითნაბადი პოეზიის აღიარება იყო მისი სახლ-მუხეუმის გახსნაც. ამაში უდაოდ დასაფასებელია რაიონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა გამგებლის ბატონ დავით გოგუას ძალისხმევა, რომელიც ბევრი, საზოგადოებისთვის საინტერესო და სასარგებლო პროექტების ინიციატორადაც გვევლინება. სწორედ დავით გოგუას უშუალო მხარდაჭერით შეეხსნა ხორცი ამ მეტად საშვილიშვილო საქმეს – ამიერიდან ლაშას სახლ-მუხეუმში ჭეშმარიტი პოეზიის თავყვანისმცემლებს გულთბილად უმასპინძლებს!

გუშინდელი დღე ნამდვილად იყო ერთგვარი ზეიმი ჩხოროწყელებისთვის და სახელდახელოდ ჩამოსული სტუმრებისთვის. ნიშანდობლივია, რომ ლაშა გახარიას სახლ-მუხეუმის გახსნის პარალელურად ჩხოროწყეში ცენტრში ზეიმობდნენ ჩხოროწყეობას, რომლის დასკვნითი ნაწილი საპატიო ჩხოროწყელების არჩევით დაგვირგვინდა.

სასიხარულოა, რომ ეს საპატიო ტიტული, სხვა გამორჩეულ პიროვნებებთან ერთად, ლაშა გახარიას მეუღლეს – ქალბატონ როზა ბერიკაშვილსაც მიენიჭა.

სქანი თოლფი...

„სქანი თოლფი... სქანი თოლფი, სქანი თოლფი ტრუპანტი რე ურყი ტყას ქიმბოტოლფი, იშენი სოთინი ვამარტინე. გენდენიმოკო, შქურინიმაფუ, მუთუნფერო ვამანდინე, გური კიდირსუ ინორტყაპუ, გურტყურათ ვამადინე. ზისხირს ბოგიშ-ბოგიშობუ, სანთელშორო გუშნაგორა, ვამოსაჭირ მონჭაკობუ, ოშინოლოში ეკანაკორა. მიჯინეტი მახაკეალი, სქანი თოლფი იკენთირი, ჩხე გინაფაში ნაკეკეალი ოროფაში ჯას ომანთირე. მიჩქ, ფხალუნქ, მიჩქ, ბჭვალუნქ, მიჩქ, რინას მითხინუა, მიჩქ, მუჭოთი გომჭალუნქ, თინერ თოფის მიჩხინუა. ქორთხულენქი, ვაგათა, ღორთი ქორწანსუ და შურო, იშენი ვამარტინე, სოთა, თინერი შურით გილმოშურა.“

ზღვა ლემენს, ზღვა ივანჩე, ზღვა ლასირანს ჩქიმ სვენასე, დღაში შიღურტულინ ჭუნანსე წკვერტელი სი სერასე. მუჭოთი რქინაში სადოსე, ქინვოჯინი შურს უთოლცე, ვავა, წყარკაკია ტენის რქინაში ჭყვი ვაუთორსე. მიჩქ მიჩქ შიმიჩქ შიმიჩქ, მიჩხსალი ვარეთი შიშინოსი, ახალ ჭუათ გმუშმურსულო გურს მიჩხუნს დო იხემოზე. მოლოირიში აკოგაფა, მინ ტატალო, მინ ჭუჭულო, მარა მელოე მოლვერე, ჯვე მებური საჭუჭულო. რტინელ შარაქე ვადმოგურუ ჩქიმ რინი მუჭოთ ფხართიკონი დოხეფორჩა ჩქიმ კილესე მუჭო თე კპართიკონი. იშენი მოკო, მოკო, მოკო, დუდი ევოფე შხვა რქინათე, გოწონერს მქუსუნუე აფუნში ნაჩილათე. მარა დამორჩილიში დღასე სიკუნტარე ქულტყაფუ, ნახანდი დო ნაქიმინა დუწიმინდუ, ქულურჩაფუ. ზღვა იშენი ლემენსდო მილასირანს გკინ სვენასე, დღაშიში დურტული ინჭუნანსე წკვერტელი სისერასე.

კოტი ნაჭყბია

ივარვალ ჩხორია

ივარვალ ჩხორია, ცაშ კუნთხუე იეფი, ზუღას გარსიოლუნა ჩე-ჩე მათირიეფი. ლაბახონა გელაფე, ეკმურცია მესეფი. არა, მერეს ქეკიბე ქეითორ ჩხომქ ლერსეფი. ჭვემას ქიმი ონანა, ცასუთ გეგნოფონუნა, წყარიში დიდაშ ზოჯუათ თოლფეც ელამბონუნა. ივარვალ ჩხორია, ცაშ კუნთხუე იეფი, ზუღას გარსიოლუნა ჩე-ჩე მათირიეფი. ზაალ ჯალალონია

ვორამ ბათუმს

ფშუნქ თუთუნს, ვავორთუქ მუთუნს. ქომორთ ჩქიმი წავლაქ. ქვემანთს დავლაქ. მემცუ ქონება ავლაქ. სამუშა ვამიდ, კუნტა დღა მიღ ქონება ნტერქ მიდამიდ. მის ვიკოქ, ანწ მა, ვაფორექ სქანწკა, ვოჯანუქ შხვაწკა, ფარა ვარე ჯიბეს, მუკუობუქ ქორქეს ბორის მიჩქენს. იმენდ მიღუ-მიშა? უორინჯე ჭყიშა, გვთოლინაფილ შა! ჯიმალ პერტაია, ტომბა

საქართველოს მცხოვრებლები ნატოს სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ გამოდინ – „Российский миротворец“



თა მთავარი მოთხოვნაა ცენტრის დახურვა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. აღნიშნული დონისძიების ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ერეკლე მგორეს საზოგადოება“. მანიფესტაცია გამოწვეულია იმით, რომ ქართველ ხალხს არ სურს ქვეყანაში სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალებისა და ორგანიზაციების ხილვა. ამის შესახებ „Российский миротворец“-ს ესაუბრა „ერეკლე მგორეს საზოგადოების“ თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე.

„მიუხედავად რიგი მედიის მტკიცებისა ქართველი ხალხის მისწრაფების შესახებ ნატოში მათი ქვეყნის გაწვევრიანების თაობაზე, სინამდვილეში ეს ასე არაა. ვინც ამას ამტკიცებს, საბაბად მოჰყავს პლებისციტი, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის ტირანიის დროს ჩატარდა. თუმცა, ნათელია, რომ გამოკითხვა ტარდებოდა მძიმე პერიოდში, როცა უდანაშაულო

ადამიანებს ციხეებში ყრიდნენ და აწამებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის კურსის დაწუნების გამო. დიდი ალბათობით, კენჭისყრისას ბევრ გაყალბებას ჰქონდა ადგილი“, – აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერმა.

სავსებით გასაკებია საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის უარყოფითი განწყობა ნატოსა და მისი შეიარაღებული ძალების მიმართ, რადგან ეველას კარგად ახსოვს, თუ როგორი მონდომებით ბომბავდა ნატოს ავიაცია იუგოსლავიაში გამორჩეული მართლმადიდებლურ ეკლესიებს, მაშინაც კი, როცა ამ ეკლესიებს მრევლი – მოხუცები, ქალები, ბავშვები აფარებდნენ თავს, იმის იმედით, რომ ტანებში უსაფრთხოდ იქნებოდნენ. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ ევროამერიკელი მასონები ებრძოდნენ არა ე.წ. „მილოშვიჩის დიქტატს“, არამედ სწორედაც რომ მართლმადიდებლობას.

საძინფორმი

შემოდგომის უკანასკნელ დღეებში საქართველოში გაიმართა ორი საარტისტო აქცია ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნის წინააღმდეგ. მომიტინგე



# მეგრული (იბერიული) ენის უენომენი

(მნიშვნელობა და მონაცემები სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის)

მოკლედ, ანანია ჯაფარიძემ ქართველი ერის ისტორიის თავდაყირა დაყენებას მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება.

აღნიშნულ სიცრუეთა ჭეშმარიტების რანგში ისტორიასა და საზოგადოებაში დასამკვიდრებლად, ანანია ჯაფარიძეს მოჰყავს ცნობილ მეცნიერთა გამონათქვამები და, თითქოსდა, მათზე დაყრდნობით ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ოთხ გამორჩენილ მეცნიერს, იბერიისა და ქართველთა შესახებ, ერთმანეთისაგან მევეთრად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. ნიკო მარი თვლიდა, რომ იბერია სა-მეგრელოა, კაკაბაძის მიხედვით იბერია პერეთია, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით იბერია – აღმოსავლეთ საქართველოა, კ. კეკელიძის მიხედვით კი, იბერია აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილია – პერეთთან ერთად, ხოლო „ქართლი“ კი თბილისის სამხრეთით მდებარე ნაწილს ეწოდებოდა“ (იხ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი I, გვ. 111). მაგრამ აშკარად ტყუის „ღვთისმსახური“ ანანია ჯაფარიძე, როცა ივანე ჯავახიშვილს აბრძვალს, რომ მას, თითქოსდა, იბერია აღმოსავლეთ საქართველო ჰქონოდა მიხნული. და თუ სადმე ამოიკითხა ასეთი ფრაზა, ივანე ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგდროინდელ გამოცემაშია ფალსიფიცირებული ისე, როგორც ეს გააკეთა აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ 10-12 წლის წინათ გარდაცვლილი აკადემიკოსის ანდრია აფაქიძის ნაშრომში (იხ. საქართველოს ისტორია, ტომი I, 2012, გვ. 264): „იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“-ო, რაც ცოცხალ ანდრია აფაქიძეს სიზმარშიც არ მოუვიდოდა აზრად. სამაგიეროდ მ. ლორთქიფანიძეს დაუფასდა „ღვაწლი“. ამაზე ქვემოთ.

ივანე ჯავახიშვილი გარკვევით წერს: „ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდან შედგება: ერთ შტოს ქართლურად მოსაუბრენი შეადგენენ (ქართლელი, კახელი, ფშაბ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი იმერლები და გურულები); მეორეს იბერიელი ეკუთვნიან, ანუ მეგრულ-ლაზ-ჭანები; ხოლო მესამეს სვანები“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი I, გვ. 18). მაგრამ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს რაკი ასე სურს, თავის მხარეზე დაიყენა ისეთი ავტორიტეტი, როგორც ივანე ჯავახიშვილია.

ცნობილია, რომ ქართველი ერის გადაშენების მოსურნეთა წინააღმდეგ დიდი ბრძოლა უხდებოდა ილია ჭავჭავაძეს და მის თანაგუნდელებს.

„ქართველი ერის მტრები ყოველ დონეს ხმარობენ, რომ სამეგრელო საქართველოს მოწყვიტონ, შეამცირონ ქართველთა რიცხვი, ერთი დიდი ლუკმა ორ ლუკმად აქციონ, ადვილად გადაყლაპონ და ადვილად მოინგლონ...“

რომელიმე ერის დანაწილება, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისა. სწორედ ასე ვერაგულს დონსიძის ხმარობაზე ჩვენი ერის წინააღმდეგ დუშმანნი, მაგრამ განა მარტო ისინი? არა, ისეთებიც, რომლებიც ჩვენი ერის მტრების რიცხვში არ უნდა ერივნენ, – წერდა სულმნათი იაკობ გოგებაშვილი.

ვის გულისხმობს გულნატკენი მამულიშვილი ისეთებში, რომლებიც ჩვენი ერის მტრების რიცხვში არ უნდა ერივნენ? ალბათ, იმ ქართველებს, ვისაც გაცნობიერებულად არა აქვთ, რამდენად დამანგრეველია ქართველი ერისათვის მეგრულთა გაუცხოება და გამოყოფა საქართველოდან.

ქართველებისათვის მეგრულთა გაუცხოება, ან დასაბამიერი მეგრული (იგივე იბერიული) ენის გვიან წარმოშობილად და ქართულის დიდიგეტად წარმოქმნა იმათი მიზანია, ვინც ჯაშუშადაა შემოთესილი, ცრუ ქართველია და იბერიული წვეთი სისხლად არაა მასში, მაგრამ შენიღბულია ქართული გვარითა და პასპორტით და ჭეშმარიტ ქართველთ სწამლავენ, რომ რაც შეიძლება მალე მოედოს ბოლო ქართველთა არსებობას.

რატომ არიან ქართველი ერის მტრები დაინტერესებულნი, განსაკუთრებით, სამეგრელოს საქართველოდან მოწყვეტით?

– იმიტომ რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათ კარგად იციან ქართველი ერის ეროვნულობას განსაზღვრავს მეგრული (იბერიული) ენა.

კატკოვის, პატკანოვის, იანოვსკისა და სხვა მათ მიმდევარ ქართველთ მოძულე ავტორების პირდაპირ ვერაგობას ადვილად მიხვდა ქართველი ერის იმდროინდელი მოწინავე ნაწილი და საკადრისი პასუხით გააჩუქეს ისინი, მაგრამ მათ „გენიალურად“ გამოიყენეს რა ქართველთ სტუმართმოყვარეობა, შემწყნარებლობა და გულუბრევილობა, ქართველი ერის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს, კერძოდ, გვართის გადაკეთებას და „გაქართველებას“ მიჰყვეს ხელი (იხ. იაკობ ახუაშვილის გამოკვლევები ბოლო ათწლეულის განმავლობაში გვარგადაკეთებულ სომხების რაოდენობის შესახებ), რამეთუ კარგად იციან შინაური (გაცნობიერებული, თუ გაუცნობიერებული) მტერი უფრო დამანგრეველია ქვეყნისა, ვიდრე ეს გარეშე აგრესორს ხელეწიფება. ამიტომ აუცილებელია მეცნიერებმა თქვან ჭეშმარიტება, მაგრამ ბევრი ქართველი მეცნიერი, საეჭვოდ, დუმს. ასეთ შემთხვევაში, მეცნიერება უნდა ვაიძულოთ შეფასოს წინამდებარე ნაშრომი და, უეჭველად, გამორჩევა მტერ-მოყვარე, არადა, ვინც, ქართველი ერის ამ ყოფნა-არყოფნის ჯამს, სიმართლეს თვალს ვერ გაუსწორებს, უეჭველად, ანტიქართველია და მეგრე სხვა ზომებს უნდა მიემართოთ ერმა და ბერმა.

ცნობილია, რომ მრავალი საუკუნეების წინათ, რაღაც მიზნით, მოჭორილი სიცრუე, დროთა განმავლობაში, ისტორიული წყაროს მნიშვნელობას იქნეს. ამიტომ არ ითვლება ისტორია ზუსტ მეცნიერებად. ჭეშმარიტების დასადგენად, ისტორიული წყაროების პარალელურად სხვა ფაქტოლოგიური მასალებს მოშველიება აუცილებელია. როცა არქეოლოგიური მასალები არ გაგვანინა, ჭეშმარიტების დასადგენად ყველაზე სანდო საბუთია ცოცხალი ენის ენობრივი მონაცემები.

ენათმეცნიერება ენათა ნათესაობას ამ ენებში არსებული ლექსიკის ფუძისეული ფორმების იდენტურობით ადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯვლადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, სადაც მოძებულია 1500-მდე ძირისეული ფორმა, რომლებიც საერთოა ქართველური ენებისათვის, მაგრამ აქაც ძირისეულ ფორმათა უმრავლესობა, ტენდენციურად, ქართლური წარმომავლობისად არის მიჩნეული, მაშინ, როდესაც ძირისეული ფორმების ეტიმოლოგია დადგენილი არა აქვთ. საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის დადგენა შეუძლებლად მიანიათ, რადგან ოფიციალურად იქნა აკრძალული საქნათმეცნიერო საზოგადოების მიერ 1866 წელს, პარიზში, ენისა და მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა. მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის დადგენა და, შესაბამისად, ენისა და მეტყველების წარმოშობის მექანიზმების დადგენაც. ცხადია, რომ ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის დადგენა, შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ იმ ენაზე, რომელ ენაზეც ესა თუ ის ძირისეული ფორმა თავდაპირველად ჩაისახა. თუ ქართული ენა ამოსხნის საერთო სალიტერატურო ენაში არსებულ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას სინქრონულ-დიაქრონულ, ანუ ჩასახვა-განვითარების დონეზე, ქართული ენა იქნება ფუძე ენა. არადა, ის ენა იქნება ფუძე ენა, რომელიც ამას შეძლებს.

აბა სცადეთ ახსნათ წმინდა ეროვნული წარმოშობის სიტყვების ნათელი, ბნელი, თეთრი, წითელი, მწვანე, მდინარე, მიდინარე, მცინარე, ცხელი, თოვლი, ტყუილი, საწყალი, დინჯი, მშვიდი და ა.შ. ეტიმოლოგია; სცადეთ ახსნათ როგორ შედგინენ და რა მნიშვნელობით იხმარებოდა ისინი ჩასახვის ხანაში; რა ფონეტიკური კანონზომიერებანი

და ცვლილებანი გამოიარა აღნიშნულმა სიტყვებმა საბოლოო ჩამოყალიბებამდე. მაგრამ ამ სიტყვების ეტიმოლოგიას თანამედროვე ქართული ენა ვერ ახსნის. ვერ ახსნის, რადგან ქართულ ენას დაკარგული აქვს პირველყოფილი მეტყველების ენობრივი მონაცემები და აღნიშნული სიტყვები მისთვის ისევე უცხოა, როგორც წმინდა უცხოენო სიტყვები და წმინდა ეროვნული წარმოშობის ტერმინები იბერი და იბერია.

სანამ არ დადგინდება, დღეს არსებულ ქართველურ ენებს შორის, რომელია ფუძე ენა, დავა შეიძლება მანამდე გაგრძელდეს, სანამ არ დაიშლება და საბოლოოდ არსებობას არ შეწყვეტს საქართველო. ამასთან, თუ ვერ დადგინდება ფუძე ენა, რომელიც განსაზღვრავს ქართველი ერისა და ქართული წოდებულის ენის ეროვნულობას, ქართველი ერის ერთიანობა და, საერთოდ, არსებობა ზღაპარია. ამიტომ წერდა აკად. არნოლდ ჩიქობავა: „ერის რაობას როცა განსაზღვრავენ, ენის ერთობაზე მიუთითებენ. ერის რაობის ეს ნიშანი ყველაზე ძველია. ტერიტორიის ერთობა, ეკონომიკა, ფსიქიკური წყობა ამ მხრივ ენას ვერ შეედრებინან“.

ცნობილია, რომ საერთო სალიტერატურო ქართულ ენაში (აკად. აკაკი შანიძის გამოთვლით) 66% უცხოურ ენათა ლექსიკაა დამკვიდრებული, მხოლოდ 34%-მდე ეროვნული იბერიული წარმოშობისა, მაგრამ ეროვნულად მიხნეული სიტყვების ეტიმოლოგიას ძირისძირადვე ხსნის მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა. ამასთან, რადგანაც ე.წ. ქართული ენის გრამატიკა, თითქმის, იბერიულია, საერთო სალიტერატურო ენაში იბერიული ენის წილი არანაკლებ 70%-ია. ამიტომაც ე.წ. მეგრულთათვის (იბერიათვის) ე.წ. ქართული ენა მშობლიური და უფრო მშობლიური, ვიდრე დანარჩენი ქართველისათვის, რადგან მათთვის გაურკვეველია, ნარევი ქართული ენის შემადგენლობაში რომელია ეროვნული წარმოშობის ლექსიკა. ამიტომ იბრძოდნენ მუდამ ე.წ. მეგრელები ე.წ. საქართველოს ერთიანობისათვის. და ვისაც არ სურს გაიშინაუროს ე.წ. მეგრული ენა, მას, საერთოდ, დაკარგული აქვს ეროვნულობა და სხვადასხვა ცდის ეროვნული ენერგიისაგან; მათთვის ადვილი დასამტკიცებელია, რომ ისინი შთამომავანნი არიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისა, მიუხედავად იმისა, სინამდვილეში ასე არ არის. ამიტომ უკაწკაწებთ კბილები ჩვენს მშობლიურ მიწებზე აგრესიულად განწყობილ მეზობლებს; ეს ჭეშმარიტება აძლევდა საფუძველს მიხეილ სუსლოვს სკკპ ცკ-ის საიდუმლო სხდომაზე 1961 წელს, რომ გაეკეთებინა ასეთი განცხადება:

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომლებიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება...“

„ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებულნი სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოო გაძევების საშუალებას მოგვცემს“ (იხ. პარიზის ეროვნული საბჭოს კურნალი „მებრძოლი საქართველო“, 2003 წლის 26 მასის).

ამიტომ არის საშიში ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და ამიტკიცისათვის ისტორიის გაყალიბება; ამიტომ უნდა გამოიტანოს ვერდიქტი გონიერმა მკითხველმა საზოგადოებამ, ვინაა მტერი და ვინაა მოყვარე. ის, ვინც ჭეშმარიტი ისტორიის აღიარებისათვის იბრძვის, თუ ის, ვინც აკერ უკვე 10 საუკუნეა ჭეშმარიტი ისტორიის თავდაყირა დაყენებაზე მუშაობს დღედაღამე.

## იბერი და ქართი

უდიდესი შრომა აქვთ გაწეული ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში და ისტორიკოს ნანა ხაზარაძეს სადისერტაციო ნაშრომში „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ.ად. I ათასწლეულის პირველ ნახე-

ვარში“ ეთნიკური სახელწოდებების თაბალი (ასურ.), თუბალი (ებრ.), თობელი (ბერძ. ბიბლია). ტაბარი, ტიბარი, ტიბერი (ბერძნული და რომაული ლიტ. წყაროები), თუგალი (ქართული) იდენტურობის, სადაურობისა და ვინაობის შესწავლის საკითხში.

ფონეტიკური კანონზომიერებები გვიჩვენებენ, რომ თაბალისა და ტაბარის ადრინდელი ფორმა თაბარი უნდა ყოფილიყო, ტიბარისა – თიბარი, ტიბერისა – თიბერი, თობელისა – თობერი, თუბალისა და თუგალისა – თუბარი, მაგრამ მათი ეტიმოლოგია დღემდე დაუდგენელია.

თიბერისა და იბერის იგივეობას ივანე ჯავახიშვილი შემდეგნაირად ამტკიცებს: „მეგრულში სიტყვის თავში მყოფ „თ“-ანის მოვარდნა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგალითად, „თი“-ს მაგიერ „ო“, „თე“-ს მაგიერ „ე“, „თენა“-ს მაგიერ „ენა“, „თეფერი“-ს მაგიერ „ეფერი“ და სხვა“ (იხ. ქართველი ერის ისტორია, ტომი I, 1908, გვ. 22). მართლაც, „თი საქმე“ და „ი საქმე“ ორივე ნიშნავს: „ის საქმე“, „თი ბოში“ და „ი ბოში“ ორივე ნიშნავს: „ის ბიჭი“, ან კიდევ იტყვიან: „ში რქე სი ეფერი (–თეფერი)“ (ვინ ხარ შენ ამისთანა).

თუ დავაკვირდებით ტერმინების „თაბარი“, „თიბარი“, „თიბერი“, „თობერი“ და „თუბარი“ ბევრით შედგენილობას, დავინახავთ, რომ სხვადასხვა ენებში სხვადასხვანაირად გახმოვანდა, თორემ ხუთივე ეს ტერმინი ერთი ძირისეული ფორმიდან თ, ბ, რ, და თანხმოვნური მეტყველების ხანიდან მომდინარეობს.

ცნობილია, რომ იმ უძველეს ხანაში გრამატიკა და სააფიქსაციო საშუალებები არ არსებობდნენ, ყველა სიტყვა ფუძე იყო. მაშ რას ნიშნავს ფუძე-სიტყვები თ, ბ, რ, და რ, და საიდან მიიღეს მათ მნიშვნელობები?

მყუდრო გარემოში, როცა თოვს და თავზე და მხრებზე თოვლის ფიფქი გვეცემა, გვეხმის ბგერათა კომპლექსი თ, თ, თ, ... და ა.შ. აქედან მიიღო თ, /რ, ბგერათა კომპლექსმა, გახმოვანების შემდეგ, თუუ-ს (ქართ. თოვა) მნიშვნელობა, ამ მოვლენის დროს მიღებულ ბგერაზე ხმაბაძე. თოვლი ნათელის, სიწმიდისა და სისპეტაკის სიმბოლოა. ამიტომ მიიღო თ, ბგერათა კომპლექსმა, გადატანითი მნიშვნელობით, უზენაესი ნათელის მნიშვნელობაც.

თუ მყისიერად გაექანათ მკვრივ ბაწარს, ან გაჭიმულ ბაწარს, თუ სიმს შევაშფოთებთ, გავიფრთხილებთ ბგერათა კომპლექსს ბ, , ე.ი. ბმის, კავშირის მყისიერი განხორციელებისას, ან კიდევ, განხორციელებული ბმის შემოფრთხილებისას, გვეხმის ბგერათა კომპლექსი ბ, , ამიტომ ორ წერტილს, თუ საგანს შორის უმოკლეს კავშირს, ბმას ხმაბაძის საფუძველზე ეწოდა ბ, .

თანხმოვან ბგერათა კომპლექსების უდიდესი უმრავლესობა ხილულ რეალობათა შეჯახებისას მიიღება. მაგრამ რ, რ, რ, რ, ... გაბმულ ბგერათა კომპლექსს გავიფრთხილებთ პაერის უხილავი მოლექსების სწრაფი გადაადგილებისას. ამიტომ უძველესი ადამიანი გამოქვაბულის სიდრმიდან როცა დაინახავდა მოქანავე ხეებს, ფაფარაშლილ ცხენს, ბუმბულაქორილ ფრინველს და ა.შ., შეიძლება, ქარის ხმა არც ესმოდა, არც თვით პაერს ხედავდა, მაგრამ მისი გამოწვეული ხილული რეალობები უქმნიდა ასოციაციას ქარის ძლიერი მოძრაობისა გადებულ ბგერათა ხმიანობაზე რ, რ, რ, ... და მასზე ხმაბაძით ამცნობდა სხვებს ქარის არსებობაზე. ე.ი. თვით რ, რ, რ, ... ბგერათა კომპლექსის გამოწვევი რეალობა – პაერი უხილავია, მაგრამ მისი არსებობა რეალობაა. ვფიქრობთ, ამ განსაკუთრებული გამოდაეისრა, ალბათ, რ, ბგერათა კომპლექსს სხვა ხილულ რეალობათა არსებობის დამოწმების ფუნქცია. რ, , განხმოვანების შემდეგ რე, ქართულად, აის, უმრავლეს შემთხვევაში, იბერიულ ენაზე, ადასტურებს სხვა რეალობათა არსებობას.

კუპური ფიფია, “აია”ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)





# დედა-აკლასიას მოწყობილი წინადასალოსავები

ვინ ვინ და, ბერძენმა მართლმადიდებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ საქართველო ისტორიულად მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად ითვლება და მის წინააღმდეგ დაგეგმილ ყოველ ბოროტებას მალაღობი ღმერთი ღირსეულ სასჯელს მიაგებს ხოლმე. ეს კარგად უნდა დაისმოდნენ ბერძენმა მღვდელმსახურებმაც, რათა მათაც არ მოუვლინოს ღმერთმა ბიზანტიისა და საბჭოთა კავშირის მსგავსი სასჯელი.

ახლა კი, როცა საბერძენეთის ეკლესიას საქართველოს გარდა სხვა მართლმადიდებელი მოკავშირე არ გააჩნია, ძნელი დასაჯებელია, რომ ბერძენებმა არ გაითვალისწინონ მათ თანამოძმეთა ისტორიის მწარე გამოცდილება და მეტი სითბოთი და გულსისყურით არ მოუკიდონ ქართულ ეკლესიას.

ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ როგორც უკანასკნელი მოვლენები ადასტურებენ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ბერძენი საეკლესიო მოღვაწე ხილული და უხილავი მეგობრული ძაფებით არის დაკავშირებული სომეხ მონოფიზიტებთან და ისინი ერთობლივად მოქმედებენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ დიდ თვალშისაცემ შეუსაბამობას, რაც, ჩვენის აზრით, ჩრდილავს ერთიან ქრისტიანურ მრწამსს და ღრმად შეურაცხყოფს ძე ღმერთისა იესო ქრისტეს საფლავს.

როგორც მსოფლიოს რელიგიური ცენტრებისთვის არის ცნობილი, სომეხები ჩვენი წელთაღრიცხვის 449 წელს მიემხრნენ ეფესოს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას და გახდნენ მონოფიზიტური სარწმუნოების წარმომადგენლები, რისი მიზეზითაც ისინი გამორიცხავენ ქრისტეს ადამიანურ სარწმუნოებას და განიხილვენ მის ფენომენს მხოლოდ როგორც ღმერთს. ეს კი თავისთავად უგულვებელყოფს ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ პოსტულატს – იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვას საკუთარი ჯვარცმით. ქრისტიანულმა სამყარომ 451 წელს ქალკედონში მოიწვია ახალი მსოფლიო საეკლესიო ყრილობა, რომლის მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს მონოფიზიტობა, ეფესოს ყრილობა “ავაზაკთა შეკრებად” გამოაცხადეს და დიოფიზიტობა დაადგინეს.

სომეხები მონოფიზიტებად დარჩნენ. ისტორიულად დამტკიცებული ფაქტია, რომ სომხური ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებულია სომეხმა კათოლიკოსმა ოვანეს მეოთხემ, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, სომხეთის მიერ ქრისტიანობის მიღებიდან სამოცი წლის შემდეგ, მაშინ, როცა სომეხ ხალხს ჯერ კიდევ არ შემოებოდა შუბლზე მირონი, შეკრება სომხური ეკლესიის თავკაცები, განუდგა ქალ-

კედონის კრებას და ანათემას გადასცა იგი, შემდეგი სიტყვებით: “ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო, თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორცშესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანის მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!”

ისტორიისათვის ცნობილია ისიც, რომ ამ ნაბიჯზე კათოლიკოსი ოვანეს მეოთხე წავიდა სპარსელი მაზდეანების საამებლად, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ სომეხებისა და ქართველებისაგან სარწმუნოების შეცვლას. ამით სპარსელები ცდილობდნენ განხეთქილების შეტანას ბიზანტიის რელიგიურ სივრცეშიც. სომეხებისაგან განსხვავებით, ქართველები არასოდეს განდგომიან ქრისტეს რჯულს და დიდი მსხვერპლის ფასად დღემდე შეინარჩუნეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება, რადგან, ქართველი კაცისათვის ქრისტიანობა და ქართველობა ერთმანეთთან იყო გაიგივებული. სომეხების ამ მხაკურულ გადაწყვეტილებას ფარდა ახადა მრავალმა ცნობილმა ისტორიკოსმა, მაგრამ, მათ შორის, თავიანთი ფუნდამენტური ნაშრომებით, მანც გამოირჩევიან მე-19 საუკუნის რუსი აკადემიკოსები ტროიცკი (“სომხური ეკლესიის რწმენის არსი”) და ანინსკი (“სომხური ეკლესიის ისტორია”).

ასევე დაწვრილებით გადმოსცა სომხური ეკლესიის მონოფიზიტური არსი თავის ნაწარმოებში “კავკასია” ცნობილმა რუსმა პუბლიცისტმა ვასილ ველიკომ და ისიც, რომ მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი და შემდგომი პერიოდის სხვა სომეხი მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ არ გაემუღავნებინათ და მიეჩქმალათ სომხური მონოფიზიტობი.

მაგრამ, როგორც ამბობენ, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ისტორიული სინამდვილე გახლავთ ისიც, რომ მე-16 საუკუნემდე ქრისტეს საფლავს მცველებად ედგნენ ქართველი ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, რომელთაც, საქართველოზე, შუა საუკუნეებში თავს დატეხილი ძნელბედობის ეპოს, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მიმდინარე ინტრიგებისა არაკეთილსინდისიერ საეკლესიო მოღვაწეთა მცდელობის შედეგად, დაკარგეს ქრისტეს საფლავის მცველთა ფუნქცია. არავინ იცის საიდან და რა გზებით ან რა რელიგიურ-მორალური უფლებით, მაგრამ ამ ადგილს დაუფლდნენ და დღესაც ფლობენ სომეხები, რომელთა რელიგიაც საერთოდ არ აღიარებს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ადამიანთა წარმოსახვაში არსებული მითოლოგიურ ღმერთებს – ზევსს, პერას, აფროდიტას, ჰადესს, დემეტრეს, ათენას, აპოლონს

და სხვებს მიწიერი საფლავები არ გააჩნიათ საფლავით გასაგებ მიზეზთა გამო. საფლავი შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ხორციელ ადამიანს, მაგალითად იესო ქრისტეს, რომელიც ეწამა ადამიანებისათვის და რომელსაც აგერ უკვე ჩვიდმეტი საუკუნეა კატეგორიულად არ სცნობენ სომეხები, როგორც ძე-ხორციელსა და ჯვარცმით ვნებულს.

განა, ზემოთქმულის შემდეგ, სრული უფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ გრიგორიანული ეკლესია რელიგიური სექტაც კი არ არის და იგი მხოლოდ ქრისტეს მემობელთა და ქრისტიანობის მკრეხელთა უწმინდურ ბუდეს წარმოადგენს.

ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ სომხური ეკლესია, თავისი ბუნებით, ბევრად უფრო შორს დგას ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისაგან, ვიდრე სხვა რელიგიები, თუნდაც მამადიანური, რომელიც ღირსეულ პატივს მიაგებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამის მაგალითად ემარა ყურანის იმ სურის მოყვანა, სადაც აღიარებულია სამი სრულქმნილი ქალი: მუჰამედი და, მუჰამედის და და მარიამ დედისმშობელი. გარდა ამისა, იესო ქრისტე ყურანში წარმოდგენილია როგორც ისა წინასწარმეტყველი. სომეხები კი, თავიანთი შერყენილი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, კატეგორიულად არ სცნობენ ხარებას, ქრისტეს შობას, ნათლისღებას, ჯვარცმას, ადღვომას, ამაღლებას და ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვა სასწაულებს.

ახლა, თავად განსახილველ – ვინ უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, კეთილსინდისიერი მამადიანი თუ “ქრისტიანი” სომეხი.

ყოველივე ამის შემდეგ ჭეშმარიტად ცინიკურად გამოიყურება ის ამბავი, რომ ადღვომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ქრისტეს საფლავთან მორიგეობენ სომეხი მღვდელმსახურები.

სწორედ ზემოთხსენებული მიზეზთა გამო, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი რელიგიური კანონის ძალით დარაჯობენ სომეხები ქრისტეს საფლავს?

თუ მათ უარყვეს მონოფიზიტობა და ზურგს შეაქციეს თავიანთ წინაპართა მიერ მიღებულ მკრეხელურ გადაწყვეტილებას ქრისტეს ერთბუნებრიობის აღიარების თაობაზე, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ჩვენი მოძმე ერის ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას. მაგრამ, თუ ეს ასეა, ამის თაობაზე საქვეყნოდ უნდა განაცხადოს სომხური ეკლესიის ცენტრმა – ექმიანიძამა.

ხოლო, თუ სომეხები კვლავაც თავის ძირძველ რელიგიურ პოზიციაზე დგანან და არ აღიარებენ ქრისტეს ორბუნებრივებას, მაშინ ისინი გარეკიდ უნდა იქნენ ქრისტეს საფლავიდან როგორც მკრეხე-

ლები და მართლმადიდებლობას კატეგორიულად განდგომილი რელიგიის წარმომადგენლები. განა შეიძლება ამ ყველა ქრისტიანისათვის წმინდა სალოცავად ქცეულ ადგილს საერთოდ მიუახლოვდნენ იმ შერყენილი რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები, რომელთათვისაც არაფრისმთქმელია ქრისტეს ამქვეყნიური წამება და მისი ამაღლება. შეიძლება კი, ამ შეკითხვაზე სომეხი მკრეხელები გამამართლებელი პასუხის მოძებნა?

ჩვენის აზრით, არ შეიძლება!

უფრო მეტიც, ქრისტეს საგანისათვის, მისადმი რწმენისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა, რომ იერუსალიმის იმ ქუჩას, რომელიც ადრე იბერიის სახელს ატარებდა და რომელზეც ქრისტიანობისადმი ღრმა რწმენისათვის პატივის მიგების ნიშნად მხოლოდ ბერძენ და ქართველ რწმენის მქონელებს უფლება გაეწეოთ იარაღისმსხვერპლებს და ცხენებზე ამხედრებულებს, შტანდარტებით ხელში, ამჟამად ჰქვია სომეხ მკრეხელთა ბრენდად ქცეული არარატის ქუჩა.

პირჯვარი მანც გამოისახეთ ქრისტეს წმინდა ხსოვნის წინაშე მონანიების ნიშნად, როცა წინიდან მათი დაუჯერებელი მკრეხელობის დამადასტურებელ ამ მართლაც ამაზრხენ სამიჯვებს ამოიკითხავთ.

მაგრამ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყველანი, განსაკუთრებით კი საეკლესიო მამები არიან ვალდებული პატივი მიაგონ სარწმუნოების პრინციპების შეუვალობას და ჭეშმარიტ ისტორიას!

ამიტომ მოვიწოდებთ ყველას, რომ ქრისტეს საფლავზე აღადგინოთ მრავალსაუკუნოვანი სტატუს-კვო!

სხვა შემთხვევაში გამართლება არა აქვს ბერძენ წმინდა მამათა საქციელს, რომლებიც ყველა საშუალებათა გამოყენებით უკეტავენ ქართველ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ქრისტეს საფლავისაკენ მიმავალ გზას და ფართოდ უდებენ კარს ამ გზაზე სომეხ მონოფიზიტებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ ჩვენ გულს გვიხრავს ერთი ეჭვი – ხომ არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის უგულვებელყოფელი და მკრეხელი სომეხების მიერ ქრისტეს წმინდა საფლავის დასაკუთრება იმ დიდი კორუფციული გარიგების შედეგი, რაც ზოგჯერ, ეკლესიას მიტმანნილ არაკეთილსინდისიერ მღვდელმსახურთა კანონგარეშე საქმიანობის შედეგად, აშკარად შეინიშნება ამ უწმინდეს და უნეტარეს სფეროში.

თუ ჩვენი ეს ღაღადისი დარჩება უყურადღებოდ ძლიერ ეკლესიურ მამათა მიერ, მაშინ უფლებას ვიტოვებთ, რომ ეს ეჭვი რეალურ სიბრტყეში განვიხილოთ.

დიდის მოწიწებითა და პატივისცემით, როლანდ ჯალაღანი

## ჰააგის სასამართლოს პროკურორი: “2008 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის და ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ომის დანაშაული ჩაიდინეს”

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა ფიქრობს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთის და ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ომის დანაშაულები ჩაიდინეს. ამის შესახებ ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც თავად ჰააგის სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული.

მათი განმარტებით, პროკურორი “ომის დანაშაულად” “მშვიდობისმყოფელთა მისიის წარმომადგენლებსა და მათ ობიექტებზე თავდასხმას” მიიჩნევს. “პროკურორი გააჩნია გონივრული საფუძველი, რათა ირწმუნოს, რომ როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიდინეს ომის დანაშაულები, რაც გამოიხატა მშვიდობისმყოფელთა მისიის წარმომადგენლებზე და მათ ობიექტებზე თავდასხმაში.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ქართველების სამშვიდობო ობიექტებზე მრავალჯერ მიმდებ იქნა დაცხრილული სამხრეთ ოსეთის სამხედრო პოზიციებიდან, რის შედეგად დაიღუპა ორი და დაიჭრა ხუთი ქართველი მშვიდობისმყოფელი. სხვა

ინციდენტის დროს კი, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქართველი ძალების თავდასხმის შედეგად 10 რუსი მშვიდობისმყოფელი იქნა მოკლული და 30 დაჭრილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, რუსი მშვიდობისმყოფელების ბაზა და მასში არსებული სამედიცინო დაწესებულება განადგურებულ იქნა”, – აღნიშნულია ჰააგის სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ამასთან, ოფიციალური ცნობით, პროკურორს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით “საქართველოს სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე” სურს, რომ 2008 წლის 1-ელი ივლისიდან ამავე წლის 10 ოქტომბრამდე არსებული სიტუაცია თავად გამოიძიოს.

“ბოლო პერიოდამდე, რუსეთის და საქართველოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები აწარმოებდნენ გამოძიებას ამ დანაშაულების ჩადენაში ყველაზე მეტად პასუხისმგებელი პირების მიმართ. თუმცა, მოკვირებული სამართალწარმოება საქართველოში შეფერხდა. იმის გამო, რომ არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ გამოძიება კვლავ განახლდება ეროვნულ დონეზე და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეზე სხვა სახ-

ელმწიფოში არ მიმდინარეობს გამოძიება, და აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე, პროკურორი მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველების იძულებით გადაადგილების საქმე, დასაშვებია იქნება პროკურორის ოფისისთვის გამოძიების ჩასატარებლად. მშვიდობისმყოფელებზე და მათ ობიექტებზე განხრახ თავდასხმის შემთხვევები ამ ეტაპზე ნაწილობრივ იქნება დასაშვები გამოძიების ჩასატარებლად რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე გამოძიების გათვალისწინებით.

მეტიც, ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმის და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებით, არ არსებობს გონივრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ გამოძიების დაწყება არ წაადგება მართლმსაჯულების ინტერესებს. აღნიშნულ დანაშაულთა შედეგად დაზარალებული პირები კვლავ ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას”, – განმარტებულია ოფიციალური ინფორმაციაში. ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ მოსამართლეებს საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის გამოძიების დაწყების ნებართვის მიცემასთან დაკავშირებით თხოვნით უკვე მიმართა.

ჩვენ არაერთგზის გამოვითქვამს უტყუარი აზრი იმის თაობაზე, რომ 2008 წელს პროვოკაციული ომი ოსებთან და რუსებთან სწორედ თავმჯიხჯა სააკაშვილმა წამოიწყო, მაგრამ ნაციონალები ლამის საცემრად იქვედრნენ ამგვარი აზრის გამოხატვებელ პოლიტიკოსებზე. არა და, ამ თეზის სრულიად მარტივად დამტკიცება შეიძლება – ჯერ ქართული საბრძოლო ქვედანაყოფები შეიჭრნენ ცხინვალში და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოლაზა მოწინააღმდეგე მხარემ, პირობითი საზღვარი!





# რას დადგება ილია მართალი?

## წმიდა ილია მართლის პოლიტიკური მრწამსი

თუ როგორ კატასტროფულად შეიცვალა საქართველოში სოციალური მდგომარეობა, კარგად ჩანს თუნდაც ამ უბრალო სტატისტიკიდან: საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს, (1987-1991) წლებში ილია ჭავჭავაძის თხოვნებზე ოცნოქმეულის პირველი ხუთი ტომი, თითოეული 80 000-ანი ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ტირაჟი ჯერ 700-მდე, ბოლოს კი 300-მდე შემცირდა. ასე ახახა ქართული კულტურის კატასტროფა ილიას ბეჭდურ თხოვნებზე სტატისტიკურმა მანევრებელმა, რომლის მიხედვით ჩამორჩენის კოეფიციენტი 99,6%-ის ტოლია.

მიუხედავად ამისა, პესიმისტური იდეებისთვის თავის მიცემის უფლება არ გვაქვს, რადგან, თვით წმიდა ილია მართალი დგას ზნეობის სადარაჯოზე და მარადიან შეგვახსენებს, რომ ეროვნულ საუწყეთა დაცვა და შთამომავლობისთვის გადაცემა ყოველი ჩვენთვის მოვალეობაა.

ამ საუწყეთა შორის კი, ჩვენი აზრით, საკითხი მამულის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მას აქტუალობას ჩვენი ქვეყნის მუდამ რთულ სიტუაციაში ყოფნა სძენს: XVIII ს-ში საქართველომ, სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ, ერთმორწმუნე ხელსთქმინა მოკავშირეობის გზა აირჩია, ხოლო ამჟამად, XXI ს-ში, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის გარეშე დარჩენილი საქართველო ორიენტირებულია ლბტ-ის უფლებათა დამცველ აშშ-სა და ევროკავშირთან თანამშრომლობაზე, რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივა კი ბუნდოვანი ჩანს – იმის მაგივრად, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან კონფლიქტის მოგვარებას ვცდილობდეთ, გარეშე ძალების ზეგავლენის გამო მასთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ვერ ვახერხებთ.

სამ საუკუნეს შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკითხებზე პარალელების გასაკვლევად, პირველ ყოვლისა, ილიას ცნობილ მოთხრობას **“მგზავრის წერილებს”** მივმართებ, რადგან, ამ მოთხრობის საუკუნის წინ ეროვნულ-პოლიტიკურმა სპექტრმა სწორედ მასში აღმოაჩინა ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედებისთვის საჭირო მაგიური ფრაზა.

**“მგზავრის წერილებში”**, როცა მგზავრი მოხვევს ლელთ ღუნისა კეთხება, უწინდელი დრო რით იყო უკეთესი, მოხვევს პასუხობს: ადრე, ავად თუ კარგად, **“ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნენ”** და ამით იყო უკეთესი. ქართველთა წესთ-წყობაზე სხვა მრავალი აუვის მოხმების შემდეგ, ავტორი მოთხრობას, უფრო გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ასეთი განსჯით ამთავრებს: **“მართალია თუ არა ჩემი მოხვევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვირთ, როგორც მგზავრი, ვინსენებ მას, რაც მისგან გამოვიღო. ჩემი ცდა მარტო იმისაა, რომ იმის აზრისთვის იმისივე ფერი შემეჩინა და იმის სიტყვისთვის იმისივე კიდე. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვა შემიძრულდება.”**

ჩემმა მოხვევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისი სიტყვით თავისი გულისტკივილის მიმახვევდა.

მიიხვედი, ჩემო მოხვევე, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. **“ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნენ”** – სიტყვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..”

ძნელი სათქმელია, ამ ნესტრით რამდენი ქართველია ნაჩხვლეტი, მაგრამ, ალბათ, ანგარიშში არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ე.წ.

ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ, ქართულ მედია-სივრცეში ლელთ ღუნისა სიტყვათა ციტირების ინდექსი თვით ილიას ცნობილ ტრიადასაც (მამული, ენა, სარწმუნოება) აღემატება. იგი არა მარტო მომიტინგე პარტიათა ლაიტმოტივად, არამედ, მთელი ქართული პოლიტიკის ლოზუნგად გადაიქცა. ერთი თანამედროვე ისტორიკოსი დღესაც შეგვახსენებს: **“ზვიად გამსახურდია 1975 წელს, იმხანად გამოუქვეყნებელ წერილში აღნიშნავდა: “დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქოვა ლელთ ღუნისა სიტყვებში: “ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნოდეს”. ამას მივუძღვრება ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეეწირა დიდი ილია”**.

ამჯერად, XIX ს-ის ქართველ მწერალთა რჩეული თაობის თხოვნებზე განხილვის საშუალება არა მაქვს, მაგრამ მთავარი საკითხის გამოყოფა მაინც შეიძლება: დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი მართლა ლელთ ღუნისა სიტყვებში ჩააქოვა და მართლა მას შეეწირა თავი? – იმის იმედით, რომ ხვალ მიტინგს არავინ მოაწყობს და ჩემი მოსაზრების დასაგმობად საზოგადოების ვეზალტრებას არ შეეცდება, თავს უფლებას ვაძლევ, დასმული საკითხი კრიტიკულად განვიხილო და მსმენელის წინაშე რამდენიმე არგუმენტი პუნქტობრივად წარმოვადგინო.

1. ილიას მოთხრობაში ლელთ ღუნისა პირით გამოთქმული თეზა XX ს-ის ბოლოს ქართული პოლიტიკის კარდინალურ საკითხად იმიტომ გადაიქცა, რომ **“ეროვნული მოძრაობის”** თავკაცებმა მასში არა მარტო სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ მიზანსწრაფვა, არამედ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კავშირის დარღვევაც იგულისხმეს. იდეურად, აღნიშნული თეზა მათ ამის საშუალებას აძლევდა, რადგან მოხვევე, ფაქტობრივად, გეორგიევსკის ტრაქტატით გაფორმებული კავშირის წინააღმდეგი იყო, ხოლო, **“ეროვნულები”** – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საქართველოს ყოფნისა.

რამდენადაც ქართულმა სინამდვილემ ილიას მოთხრობა დოკუმენტად აქცია და მასში გამოხატული აზრები თვით ავტორის პოზიციასთან გააიგივა, მაშინ ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ **“მგზავრის წერილების”** ყველა იდეური ნიუანსი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ.

2. ვფიქრობ, სადავო არ არის, რომ ლელთ ღუნისა თეზას პოლიტიკური სტატუსი მოთხრობის დასასრულმა მიანიჭა. სწორედ მოხვევის სიტყვათა გამოვლენამ და მისით გამოწვეულმა გულისტკივილმა გამოკვეთეს მისი რელიგიური სახე, თორემ, მარტო დიალოგის დროს **“ავად თუ კარგად”** ნათქვამი მოხვეური სიტყვა ისტორიულ მნიშვნელობას ვერ შეიძენდა. გასაკვირია, რომ ლელთ ღუნისა ფრაზამ ზემოთ განმარტებული შინაარსი შეითვისა, მაგრამ, გარდა მგზავრის თანაგრძობისა მოხვევის მიმართ და **“რაღაც უეცარი ტკივილისა”**, ჩვენ თვით ავტორის პოზიციას, ანუ სამოქმედო პროგრამას, როგორც ეს თვით ბრძენ ილიას სწევოდა, ვერ ვხედავთ.

ამიტომ გვიხსნის: **“მართალია თუ არა ჩემი მოხვევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისი სიტყვით თავისი გულისტკივილის მიმახვევდა”**. – ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამშობლოში ახლახან დაბრუნებული უგვირგვინო მეფე, თუმცა ჯერ კიდევ 24 წლისა, პასუხს ტკივილების დასაამბებლად თავისი საყვარელი მიწა-წყლისკენ ელის. მან ჯერ ბევრი რამ არ იცის: **“როგორ შეგვეყრებო მე ჩემს ქვეყანას და როგორც შემეყრება იგი მე”**; **“კარგია გავიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულადტყინებულსა. ჩემო ღამა-ზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოგნახავ, და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები”**. – სამწუხაროდ, ამ ღამა-ზო ქვეყანას არ აღმოაჩნდა უნარი, რომ მისთვის თავგანწირულის ბრწინვალე ნათელს შესდგომოდა და ღმრთისგან წარმოგზავნილისთვის

თაყვანი ეცა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ჩვენ ისევ **“მგზავრის წერილებს”** მივუბრუნდეთ.

3. ჩვენი აზრით, ავტორი რომ მოხვევის ნაუბარს არ განსჯის, არამედ მხოლოდ მის კონსტატირებას ახდენს, მთელი დიალოგიდან ჩანს. მაგალითად, მგზავრი არ პასუხობს ემოციებს აყოლილ მოხვევს, რომელსაც მშვიდობიანობის გახანგრძლივებამ (ამ დროისთვის რუსეთის მფარველობაში თითქმის 60 წელი იყო გასული) წარმოადგენა შეუსუსტა: **“რას ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტემაქით... ცარიელ მშვიდობა მიწაზე გვეყოფის”**; ეტყობა, რომ მოხვევე ლელთა, სპარსთა და ოსმალთა შემოსევების საშინელუბასაც სათანადოდ ვერ აანალიზებს: **“აწინა მავალე სავაძე უფროს გვაწიოვებს, უფროს სახლს გვიკლებს”**; ამასთან, მოხვევეს მძითმეველ თმებზე ბევრი კი სმენია: **“კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხონეს”**, მაგრამ იმის მადლიერი არ არის, რომ **“აწინა ყოველნი ქართველნი ძმანები ვართ”**.

მოკლედ, ლელთ ღუნია ერთი ჩვეულებრივი ქართველია, რომლის გრძობები გრძობაზე ბატონობენ და ამიტომ აზრიც ყველაფერზე თავისი აქვს, რომლის არც გულწრფელად გამოხატვისა ერთიგება, გამომსახველობის თვალსაზრისით, მაგრამ, რომ ლელთ ღუნია ტიპური წარმომადგენელია ჩვენი საზოგადოებისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი თვისებების ან აზრების იდეალიზაციას, რაც არც მის შემოქმედს დაუსახავს მიზნად.

4. ამასთანავე, როგორც დოკუმენტური მასალიდან ჩანს, მოთხრობის ბოლო აბზაცის მიმართ თვით ილიასაც ორჭოფული დამოკიდებულება აქონია. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ **“მგზავრის წერილებს”** ჩვენამდე მოღწეული სამი ავტოგრაფიდან ერთ-ერთში (ხელნაწ. № 149) ბოლო აბზაცი (**“მივიხვი... პასუხი”**) მთლიანად გადახაზულია, ხოლო მოთხრობის პირველი პუბლიკაციის (ქ. **“კრებული”**, №5, 1871. გვ. 1-16) ბეჭდურ ტექსტში იგივე აბზაცი, გარდა პირველი წინადადებისა (**“მივიხვი... ნაჩხვლეტი”**), ასევე შეტანილი არ არის.

ჩემი აზრით, ეს ორჭოფობა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მარტო ამ გამოთქმის მოხმობით – **“ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნენ”** – მგზავრის გულისტკივილის მიზეზი დავიწროვებულ შინაარსს იძენს; მოთხრობაში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ იმდენი საწუხარია დასახელებული, რომ ეს თეზა თავის თავში ყველა პრობლემის შემოკრებას ვერ ახერხებს. და, რაც მთავარია, ილია მართლისთვის არა მარტო ლელთ ღუნისა სატიკვარი, არამედ, თვით ლელთ ღუნისა პიროვნებაც მისი ტკივილია; ვინაიდან, მოხვევე ცხოვრების სიმძიმით დადარდინებული კაცია, რომელსაც გამოსავლის პოვნაზე არც უფიქრია და სანუგეშოც არაფერი აქვს. ამგვარი ადამიანი ილიას ჩაფიქრებულ საქვეყნო საქმეს, ბუნებრივია, ვერ იტვირთავს და ამიტომ იგი ქვეყნის უბედურებით გულადტყინებულ ქართველების მონახვას მხოლოდ იმედოვნებს, ხოლო თუ იპოვის, კიდევ ეთაყვანება.

5. მოხვევეს გეორგიევსკის ტრაქტატმა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მარტო ცარიელი მშვიდობა მოუტანა. გარდა იმისა, რომ ცნება ანტინომიურია, ანუ წინააღმდეგობრივ შინაარსს შეიცავს, იგი იმავე დროულად უარყოფელია მეფე ერეკლე მეორის დამსახურებისა, რომლის მიერ მომზადებულმა და გაფორმებულმა დოკუმენტმა, მოხვევის აზრით, მხოლოდ ეს უშედეგო და ფუჭი მშვიდობა მოუტანა საქართველოს. ლელთ ღუნისა დამოკიდებულება ორივე საკითხზე გამოკვეთილია; ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს წმიდა ილია მართალი, ერთი მხრივ, მშვიდობას, ხოლო მეორე მხრივ – პატარა კახის დიდ საქმესა და მის დიდებულ პიროვნებას.

**“მშვიდობიანობა, მოცალეობა არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე მეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი... ამ ჩვენს საუკუნეში არის მშვიდობიანობა;**

მაშასადამე, არის დროება ლიტერატურისა, სწავლისა და ხელოვნებისა, რომელიცა ადამიანმა სარგოიანად უნდა მოიხმაროს”, ხოლო მეცნიერების ნაყოფიერება თავისთავად ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას ნიშნავს. ამიტომ მშვიდობა ცარიელი არ შეიძლება იყოს, თუ იგი ადამიანმა სარგოიანად მოიხმარა. მშვიდობიანობის დროს, თუ ვინმეს საკუთარი სტომაქი ლელთ ღუნისავით ცარიელი აქვს, მიზეზი არა სხვაგან, არამედ თავის თავში უნდა ეძიოს.

უფრო მეტიც, შინაარსთან ერთად თვით ტერმინსაც საკრალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მშვიდობა ქრისტიანული გაგებით კუროხევისთან არის გაიგივებული. ბიბლიურ წიგნებში, პატრისტიკულ ლიტერატურასა და ლიტურგიულ ტექსტებში დალოცვის ძირითად ფორმად მშვიდობის სურება გამოიყენება: **“მშვიდობა თქვენთანა”, “მშვიდობა სახლსა ამას”, “მშვიდობა ყოველთა”**... ანგლოზებიც ამ მადლიანი სიტყვით ღოცავენ ქვეყნიერებას: **“დიდება მადალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება”** (ლუკ. 2,14). დაბოლოს, ერის სათნო მოძღვარს, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მოვუსმინოთ: ღმრთისმსახურება, ცხოვნება და ზეცისადმი მიწადაცხადება მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც მშვიდობა სუფევს. ღმერთი ამ ზეგარდმო ნიჭს იმ ქვეყანასა და ერს ანიჭებს, რომელშიც კეთილი სარწმუნოება და ღმრთის მსახურება სუფევს, რომელშიც წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია მტკიცედ და დამყარებული და ერის ზნეობას აშენებს.

შეიძლება მშვიდობის მნიშვნელობაზე ამდენის თქმაც არ იყო საჭირო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ყოველთვის დაცვა სჭირდება.

6. ახლა, ამ სანუგვარი მშვიდობის მოპოვებულზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მართალია, მეფე ერეკლეს მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას საბოლოოდ ხორცი მისმა უფროსმა შვილმა, ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ შეასხა, როცა რუსის ჯარი თბილისში შემოვიდა (1799 წ.), მაგრამ საფუძველი ამისთვის 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატით იყო მომზადებული.

რაც შეეხება თვით ილია მართლის დამოკიდებულებას ერეკლე მეფის პიროვნებისადმი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ილიასთვის ერეკლე ყოველთვის **“ბრწყინვალე მეფე და რკინის კარი იყო საქართველოსი”**; იგი პატარა კახის სახელის განსაღივებლად ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ ორბელიანის სტრიქონებსაც უშურველად იმოწმებდა; ილიას სიტყვით, ერეკლე II ის დიდებული მეფეა, **“რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს”**.

7. ბოლო საკითხი, რომლითაც თემის ამოწურვა, ჩვენი აზრით, შეიძლება, ეს არის არა ახალგაზრდული მგზნებარებით ანთებული **“მგზავრის”**, არამედ სამოციანად გაღვივებული ბრძენების მიმართება რუსეთისადმი. აი, რას ამბობს წმიდა ილია მართალი XIX ს-ის მიწურულს: **“რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე. მარტო მით რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისე ცხადია, ისე ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოველ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი... ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და მხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მავარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან.**

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)





რა უნდა პაატა ბურჭულაძეს ქართულ პოლიტიკაში?



უკვე რამდენიმე თვეში ბაიროპევა როგორ იქნება მსოფლიო ბანის ახალი პარტია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში...

“თუ ვიგრძნობ, რომ სხვა ამკლუაში ვგვირდები ჩემს ქვეყანას, აუცილებლად გადავდგამ ამ ნაბიჯს!”

“თუ ოდესმე პოლიტიკაში მოსვლას დავაპირებ, აუცილებლად მივალ უწმინდესთან და ვიდრე მის ღოცვა-კურთხევას არ მივიღებ, არაფერს გადავწყვეტ” - ეს განცხადება მსოფლიოში ცნობილმა მომღერალმა, ქველმოქმედმა პაატა ბურჭულაძემ ამ ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მანვე ბრძანა: “ყოველთვის მთავაზობდნენ, პოლიტიკაში მოსულიყავი... უარს ვამბობდი, რადგან სხვა მიზნები მქონდა. არც არასდროს მინანია. თუმცა, არ ვამბობ, რომ ეს არასდროს მოხდება! თუ საჭირო იქნება და ვიგრძნობ, რომ სხვა ამკლუაში ვგვირდები ჩემს ქვეყანას, აუცილებლად გადავდგამ ამ ნაბიჯს! ამას ყველა ლიდერი მთხოვდა, ზვიად გამსახურდიანი და წყევლები... რომ მცოდნოდა, ნამდვილად წავადგებოდი ქვეყანას, აუცილებლად დავთანხმდებოდი. მიმანდა, რომ სხვა საქმეები უფრო გამოვადგებოდი

ჩვენს საზოგადოებას”. შეკითხვაზე, მისთვის პარტიარქს თუ უთხოვია პოლიტიკაში მოსვლა, პაატა ბურჭულაძემ უპასუხა: - “არასოდეს! პარტიარქი არავის სთხოვს ამას”.

მოკლედ, უკვე ამ ინტერვიუში კარგად გამოჩნდა, რომ პოლიტიკაში მოსვლას მსოფლიო ბანი კატეგორიულად არ გამოიცხავს, ამ ორიოდ დღის წინ კი ქართული მედია კიდევ ერთხელ აღაპარაკდა იმაზე, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს ზამთრის დადგომამდე გადადგამს. მეტიც, პაატა ბურჭულაძე უკვე რევიონებში აქტიურობს და მოსახლეობას ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება.

შეგახსენებთ, საოპერო მომღერალი წლებია ქველმოქმედებითაა დაკავებული. “ერთად გადავარჩინოთ მომავალი” - ამ მოწოდებით 2004 წელს პაატა ბურჭულაძემ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “იანგანა” დააარსა, რომლის მთავარი იდეა ობოლი და მხრუნველობამოკლებული ბავშვების თავშესაფრით უზრუნველყოფა გამოცხადდა. წლების განმავლობაში მიიწინააღმდეგებდა ბურჭულაძე საპარტიარქოს სრული მხარდაჭერით სარგებლობდა და ეკლესიის ფაორტი იყო.

მართალია, საქართველო ოფიციალურად სეკულარი სახელმწიფოა, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ეკლესიის როლი მაინც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა. მეტიც, ხშირ შემთხვევაში სასულიერო პირების ნაწილის სურვილი ჩაერთონ და გავლენა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე იმდენად დიდია, რომ ისინი წმინდა სინოდის დადგენილებასაც კი უგულვებელყოფენ, რომელიც ეკლესიის მსახურების პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას უკრძალავს. თავის მხრივ, არც პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები იხვეწენ უკან რელიგიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებისგან. ქართული საზოგადოება ამის მაგალითებს თითქმის ყოველ კვირას საკუთარი თვალთ ხედავს, როდესაც დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიების ლიდერები მისი უწმინდესობის, ილია მეორის ქადაგებებს საკუთარი ინტერპრეტაციით აწვდიან

საზოგადოებას და პოლიტიკურ დივიდენდების მოპოვებას ამ გზით ცდილობენ.

მოკლედ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლა საპარტიარქოს გარკვეული ჯგუფის პოლიტიკურ პროცესებში ლეგალურად ჩართვის ამბიციებს უკავშირდებოდეს, მიუხედავად, რომ დიდი ხანია პოლიტიკურ ველზე ავტორიტეტის მოთამაშეების მკვეთრი დეფიციტია. გარკვეული ჯგუფის-მეთქი, იმ იტომ ადვანსზე, რომ საპარტიარქოს სახელით გავრცელებული განცხადების შემდეგ ჩანს, რომ მსოფლიო ბანის სრული მხარდაჭერა საპარტიარქოში არ აქვს. ღვთისმშობლის ეკრთის დადიანების ისტორიული მუხუმიდან შესაძლოა განაზრგო საქართველოს საპარტიარქოში ოფიციალური განცხადება გაკეთდა - “ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ უზედიდებლად ახლანდის გაკეთებულმა შეთავაზებამ უზედიდის მუხუმი და ცუდი დავისმშობლის ეკრთის თილისში, მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში, ა.წ. 21 სექტემბერს ჩამოშრბანების შესახებ, ამ სიწმინდესთან მიმართებაში არსებული ისედაც დაბაბული ვითარება უფრო გამწვავდა, რადგან საზოგადოების ნაწილმა ეს ნათქვამი საქართველოს საპარტიარქოსთან დააკავშირა. ვაცხადებთ, რომ ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ გახმოვანებული შემოადინებული აზრი არის მისი იდეა. ასეთ თემებზე კი ეკლესიასთან შეუთანხმებლად მსჯელობა დაუშვებლად და მიუღებლად მიგვაჩნია,” - აღნიშნულია განცხადებაში.

ერთ-ერთი ვერსიით, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა ბიძინა ივანიშვილის სურვილია. მომავალ არჩევნებისთვის “ქართული ოცნება” საკუთარ რიგებში ახალი სახელების გამოჩენაზე ზრუნვა უკვე დაიწყო, ამით პარტიისა და მთელი კოალიციის აშკარად შემცირებული მხრდამჭერების კვლავ შემოტრებას უშეცდებოდა.

გარდა ამისა, კვლავ გააქტიურდა ლაპარაკი, რომ პაატა ბურჭულაძესთან ერთად, პოლიტიკაში შესაძლოა ბიზნესმენი ლევან ვასაძესაც ვიხილოთ - მართალია, ეს უკანასკნელი წლებია იმეორებს, რომ პოლი-

ტიკაში მოსვლას არ გეგმავს, თუმცა საბოლოოდ, ანალოგიურად მოსაზრებ ბიზნესმენი ქართველ ამომრჩეველს საარჩევნო სიის სათავეში არაერთხელ უნახავს!

აღსანიშნავია ისიც, რომ ბურჭულაძის ვინაობა პოლიტიკაში 2013 წელსაც გაიქცა, როდესაც “ქართული დასის” ლიდერმა ჯონდი ბალათურამ ის პარტიის პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატად დაასახელა. როგორც ითქვა, მომღერალმა მაშინ “ქართულ ოცნებასთან” დაპირისპირებისგან თავი შეიკავა, თავად ჯონდი ბალათურა კი მალევე პარტიის ორგანიზაციის პოლიტიკურ ძალასთან - ნინო ბურჯანაძის ალიანსში აღმოჩნდა. სხვათა შორის, რუსეთისადმი სიმპათია ბურჭულაძესაც არ დაუმაღავს. მეტიც, ერთ-ერთ ინტერვიუში მან ისიც განაცხადა, რომ მსოფლიოში მყოფების წინაშე ხშირად რუს ბანად წარადგენენ, რაც მას თურმე სიამაყის განცდას გვრის: “ქართველებს რუს ხალხზე უფრო ახლობელი ური არ ჰყავთ, დაწყებული რწმენით და დამთავრებული მენტალობით. როგორ შემიძლია, მე თავს არ ვთვლიდე საბჭოთა ადამიანად, თუკი მე გავიზარდე სსრკავშირში? მე ვის წარმოვადგენ? მე წარმოვადგენ რუსულ საოპერო სკოლას, რომელიც ძველებულად ძლიერ ფუნდამენტზე დგას. მიუხედავად მსოფლიოში წარმადგენენ, როგორც რუსულ ბანს და მე ამით გამაყოფ”.

ასე რომ, ვერ გამოვიცხავთ ვერსიას, რომ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლას, არამხოლოდ საპარტიარქოს პოლიტიკურად ანგაჟირებული ნაწილი, არამედ საქართველოში ბოლო ხანს ასე გააქტიურებული პრორუსული ძალებიც ცდილობდნენ.

მოკლედ, მიიღო თუ არა პაატა ბურჭულაძემ უკვე პარტიარქისგან ღოცვა-კურთხევა და მიღის თუ არა ნამდვილად პოლიტიკაში, ჯერ უცნობია, თუმცა უკვე რამდენიმე თვეში გაირკვევა როგორი იქნება მსოფლიო ბანის ახალი პარტია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში...

რუსუან შალია

ქართველური ენები და “ევროპული ქართია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ”

მინცი თოფი გილუდ, მარა იშენ ვარე მონადირე, შხვაშ ნოტყელც გაზუმინუ მუჭოთ ჭინდი - მოლადირე თოლი არძას ალაბრსხუნა, მარა ზღვა-ქვიც აკა ორწყე-ჭიფელია ჭინში ღობერ სქეამას ირკოც ვაწიროწყე.

1992 წელს ევროპის პარლამენტმა მიიღო „ევროპული ქართია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“, რომელიც 1998 წლიდან შევიდა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ძალაში. დაახლოებით ქარტიის გავრცელების თარიღს ემთხვევა ქართველოლოგიაში რიგი ენათმეცნიერების გააქტიურება „ახალი ნოვატორული“ თეორიით, ქართველურ ენათა კლასიფიკაციის შესახებ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბაკონმა თეიმურაზ გვანცელაძემ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე აღმოაჩინა, რომ: „1960-1974 წლებში, როცა მე ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არც ერთ ლექტორს არასოდეს უთქვამს, რომ არსებობდა მრავალსაუკუნოვანი შეხედულება ერთადერთი ქართველური ენის შესახებ. ეს ფაქტი ჩემი ლექტორების დანაშაულად არ მიმანია: მათი ერთი ნაწილი მომსწრე იყო 20-30-იანი წლების ცხარე დისკუსიებისა და კარგად იცოდა, რას ნიშნავდა იმპერიის მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისის წინააღმდეგ წასვლა, მეორე ნაწილს, რომელიც აღზრდილი იყო ახალ (საბჭოთა ლიდერებისგან მოწონებულ) თვალსაზრისზე, ალბათ სხვა ინფორმაცია არც ჰქონდათ.“ (თ. გვანცელაძე, 2006, გვ. 10-11).

გაუგებარია მხოლოდ, როგორ მივიდნენ ამ „ახალი“ თეორიის მამამთავრები: თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტყარაძე და მანანა ტაბიძე ამ აღმოჩენამდე ყველა მათგანმა ხომ იმავე ლექტორების ხელში გამოიარა?

არავითარი “მრავალსაუკუნოვანი შეხედულება ერთადერთი ქართველური ენის შესახებ” არ არსებობდა და არც გვანცელაძე-ფუტყარაძე-ტაბიძისთვისაც დაუნძლია ვინმე რაიმე ინფორმაციის უქონლობისა თუ კონიუქტურის შიშით, ფუტყარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის მიერ შემოთავაზებული თეორია, რომ არსებობს

ერთადერთი ქართველური ენა, ხოლო მეგრულ-ლაზური და სვანური ისეთივე დიალექტებია, როგორც იმერული, გურული და ა.შ.

“მრავალსაუკუნოვანი შეხედულება” კი არ არის, არამედ მას მხოლოდ მე-19 საუკუნეში მოღვაწე ექიმ-ეთნოლოგი გიულდენშტედტი უმაგრებს ზურგს და ისიც ორზაროვნად.

მრავალსაუკუნოვანი შეხედულება კი ის ვახლავთ, რომ ისტორიულ-შედარებითი კვლევების მიხედვით, ქართველური ენები შედგება ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენებისგან, ხოლო სოციო-ინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით, მეგრულ-ლაზური და სვანური ისეთსავე მიმართებაშია ქართულ ენასთან, როგორც მისი სხვა დიალექტები.

ბატონ მიხეილ ქურდიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: “ჩვენ ერთი ერი ვართ, ერთი ენოვლური - ქართული - ენით და ეს უცვლელად და შეურყეველად არის გეგულთადრიცხვის 284 წლიდან, როდესაც მეფე ფარნავაზმა ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა და იმ დღიდან ყველა ქართველური ენობრივი ამ საერთო-ეროვნული (resp. სახელმწიფო) ენის სოციო-ინგვისტური დიალექტია. ქართველურს ფარნავაზის შემდეგ არ ჰქონია ქართულის გარდა სხვა ენა სახელმწიფო კანცელარიისთვის, მწერლობისათვის, რეგიონისთვის...” (მ. ქურდიანი, კრებული - 2007, გვ. 6).

ფუტყარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის დიალექტოლოგიის “ახალი” თეორიის საუკეთესო დახასიათება მოგვცა ბატონმა გიორგი გოვლიაშვილმა, რომელმაც ამ სამეულის მოღვაწეობა შეაფასა, როგორც “ორიგინალურობისაკენ სწრაფვა ცრუადმოჩენათა გზით”: „როდესაც ტ. ფუტყარაძემ „აღადგინა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია“ და სვანური და „მეგრულ-ჭანური“ გამოაცხადა დიალექტებად, ქართველური ენების დიალექტური დიფერენციაციისა და განდასეების ორიგინალური, ტრადიციული საგანპრინციპულად განხვავებული ვარიანტი შემოგეთავაზა... დიალექტთა დიფერენციაციისა და განდასეების მათი სქემა, ისევე როგორც ზანურისა და სვანურის „გამოცხადება“ დიალექტებად, სწორედაც რომ ორიგინალურობისაკენ სწრაფვისა და

ცრუადმოჩენათა ტიპურ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ“ (გ. გოგოლაშვილი, კრებული - 2007, გვ. 98).

როდესაც ორიგინალობის მაძიებელმა „დიალექტოლოგებმა“ შეატყვევეს, რომ სამეცნიერო საზოგადოება მათ „ნოვატორულ“ თეორიას არ იზიარებდა, თავიანთი ძველი პროფესია გაიხსენეს და „განავაზის ზარების“ შემოკერით შეეცადნენ პოლიტიკურ ჭრილში გადაეცანათ ენათმეცნიერული საკითხები და საზოგადოებრივი აზრის შექმნის გზით მოეხდინათ თავიანთი თეორიით თვითდამკვიდრება. მათი აზრით, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა არის, მათი თეორიის გაზიარება და მეგრულ-ლაზურის და სვანურის “დიალექტებად” (იხილეთ ჭ. ქირია, კრებული 2007, გვ. 49).

გამოცხადება: “კიდევ ერთი აქტუალური საკითხი: თანმედროვე პირობებში ქართველი ერისთვის რამდენად შეიცავს საფრთხეს ქართველური კილოების “ენებად” კვალიფიკაცია?” - რიტორიკულ შეკითხვას სვამს თ. გვანცელაძე და თავადვე პასუხობს:

“ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ ვერცელი მსჯელობაა წარმოდგენილი მ. ტაბიძის, ტ. ფუტყარაძის, რ. შეროზიას, მ. ნაჭყებიასა და სხვათა შრომებში, რომ არსებობს არა მხოლოდ თეორიული საფრთხე, არამედ საშიშროება კარხეა მომდგარი...” (თ. გვანცელაძე - 2006, გვ. 112).

„საფრთხე დღესაც აშკარაა: ქართველური დიალექტების დამოუკიდებელ მწერლობა ენებად გამოცხადებით... დირსებას უღალხავენ ქართველთა დიდ ნაწილს“ (თ. გვანცელაძე - 2006, გვ. 142). სწორედ ამ “საშიშროების” თავიდან აცილებაში უნდა დაეხმაროს თ. გვანცელაძეს ისტორიკოსების რ. გუჯეჯიანი და ბ. ხორავას სტატია “ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან” (“ერთობლივი საქართველოსათვის”), სადაც ტერმინი “საზოგადოებრივი აზრი”, როგორც დავინახავთ, ფუტყარაძე-გვანცელაძე-ტაბიძისა და მათი მიმდევრების შეხედულებებზეა დაფუძნებული.

თუმცა გრძობენ რა ფუტყარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის თეორიების ლინგვისტური მხარის სისუსტეს, ავტორები თავადვე აღ-

ნიშნავენ: “ზუნებრივია, საკითხი - მეგრულ-ლაზური და სვანური დიალექტებია თუ ენები, უნდა დარჩეს ვიწრო მეცნიერულ-ლინგვისტური დავის საგნად, რომლის პროდუქტისა სულ ათეულობით მადლაკვალიფიკაციური მეცნიერი თუ გაეცნობა.

მაგრამ ოფიციალური სახელმწიფო მიდგომით ისინი უნდა ჩაითვალოს დიალექტებად” (რ. გუჯეჯიანი, ბ. ხორავა - 2010, გვ. 12) ჯერ ერთი, მეგრულ-ლაზური და სვანური ენები რომაა, დავის საგნად სწორედაც რომ ამ სამეულისა და მათმა მიმდევრებმა გახადეს და შემდეგ “ვიწრო მეცნიერულ-ლინგვისტური” წრიდან თვითონვე გაიტანეს გარეთ: ხან საპარტიარქოში გაიტყვევენ, ხან მთავრობას მიმართეს: “გვიშველით, ჩვენ არ გვიჯერებენ იმპერიის დაკვეთით მომუშავე ქართველი თუ უცხოელი ენათმეცნიერები”-ო, ახლა გუჯეჯიანი-ხორავამ შემოკრეს “განავაზის ზარი” “ისტორიკოსების” თვალსაწიერიდან და ამის მეფე სხეებს აბრალევენ, მიუღ ქვეყანას რატომ მოსდეთ ეს ამბავი.

მეორეც, ფართო საზოგადოებისთვის ყოველთვის იყო ცნობილი, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენებია და ამით დღემდე თუ არაფერი დაშავებულა, ახლა რატომ უნდა დაეშალოთ ვითომ “ოფიციალური სახელმწიფო მიდგომით” ან ასეთი დამალვა რას მოგვიტანს სასიკეთოს?

“ვიდაცვებმა” ინტერნეტ-გამოკითხვაც კი მოაწვევს ფორუმში: “როგორ ფიქრობთ მეგრული ენაა თუ დიალექტი?” - მკითხველმა თვითონ განსაჯოს ეს “ვიდაცვები” ვინ შეიძლება იყოს.

მე კი ერთ რჩევას მივცემდე: იქნებ „იმედის“ გადაცემა “სიმართლის დროს” დეტექტორს შეგვეერთოს ბარემ სამეგრელოს /ან სრულიად საქართველოს/ მოსახლეობა და მაშინ უფრო გარკვეულ პასუხს მიიღებენ. რატომღაც ამ “ვიდაცვებმა” თავი აარიდეს იგივე გამოკითხვას სვანურის მიმართ. ალბათ იმის გამო რომ იცოდნენ, თუ ვინმე მეგრული ენა ქართულთან მცირედი მსგავსების გამო დიალექტად შეიძლება ჩათვალოს, სვანურის შემთხვევაში პასუხი ცალსახად სვანურის, როგორც ენის სახარებლოდ იქნებოდა გაეცემული.



# რას დაგადაბდა ილია მარტალი?

**(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)**  
სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთიანების მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოველსათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოს და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა”.

ასეთია სამშობლოს თანამდგომელი სულის ერთგულებისა და სიყვარულის აპოლოგია, რომელიც მართლაც ცხადია და ადვილად გასაგებია, ოღონდ, მხოლოდ იმისთვის, ვისაც გულისხმიერება წართმეული არა აქვს. არც ის უნდა გამოჩინდეს ვინმეს მხედველობიდან, რომ ჩვენი დიდბუნებოვანი ქართველსთვის უცხო იყო ყოველგვარი პირმოთენობა, ქედადდრეკილობა და, ახლანდელი ტერმინოლოგია რომ გამოიყენოთ, ორმაგი სტანდარტი; მან ზედწოდება მართლაც სწორედ თავისი მართალი ცხოვრების, პატიოსნებისა და ღირსების გამო შეიძინა.

დიდმა ილიამ არავისზე ნაკლებად არ უწყობდა, რომ “მალიან ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენში ისეთი გაგლეხნიანი პირნი, მთავრობის ვითომ ერთგულნი და ვითომ რუსის ინტერესებისათვის მზრუნველნი, რომელთაც თითქო განგებ განიზრახეს, რომ ჩვენი ერის მომავალზე იკრავდნენ რამ იყო, ფეხით გაეთვალათ, დაეგრუნათ, მოესპოთ”, მაგრამ ამ გაგლეხნიან პირთაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად ცეცხლის ხაზზე ყველაზე წინ ყოველთვის თვით დგებოდა. ამიტომ არის ყოველი მისი სიტყვა წრფელი, სარწმუნო და უცილობელი; ხოლო მის

ნააზრევში დაუნჯებული სიბრძნე იმდენად მრავალმხრივია და მასშტაბური, რომ გონიერი ერი მასზე უკეთეს შეგზურს ამ წუთისთვის ვერც ინატრებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, ათასი ჯურის “ექსპერტ-პოლიტიკოსთა” მიერ მოტყუებულ საზოგადოებას სჯერა, რომ ილიასეული არჩევანი ევროპული იყო და, თუ სასწაული არ მოხდა, საუკუნის წინ დაშვებული შეცდომის გამეორებისთვისაც მზად არის!

ჩვენც, იმ იმედით, რომ ქართველთა უგვირგვინო მიფვის სიტყვამ შეიძლება ერთი-ორი კაცი მაინც დააფიქროს რუსეთის როლზე ჩვენს ისტორიაში, ნარკვევს დავასრულებთ ამონარიდით ილია მარტლის პუბლიცისტური წერილიდან “ასი წლის წინათ”:

“ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ხმალიმდებულნი თავს ადგენენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ... გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც... სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთისმოსავემ და ღვთისმოსავემ მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰქალაპარაკებიათ რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას

მოჰლოდებიათ. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მისვანი ერი მოიწვია საშველად და მფარველად...

იმპერატორმა პავლემ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა-რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწოკება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმმართველს, მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მენჭიდმეტევერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა...

დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლიერ ნუგეშითა და იმედით გაიციცხლა გული. მეფის კარიდან დაწყებული უკანასკნელ ქუსამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე გული აეგვს იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერებას და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისი სისხლით პრწყავდა ყოველს კუთხეს თავისი ქვეყნისა. ამ

ღირსსახსლოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა, დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დადალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლესიისა და აზრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღვერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა პბუგავდა ჩვენს მამა-პაპთა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლავა, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად დაგვრჩა.

დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანიტყულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინადამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწოდ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოღმად მტრის იხობებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისი ვინაობის გადასარჩენად. დაიდგა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებელი მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისი მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთა შესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქედ”.

ბრიტოლ რუხამძე, პროფესორი

## სომხური ექსპანსია – სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მეშვეობით

2015 წლის შემოდგომაზე სრულიად სომხეთის კათალიკოსის – გარეგინ II და სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ვიზიტმა საქართველოში ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის შეკითხვები გააჩენა.

ცნობილია, რომ სომხეთის სამოციქულო ეკლესია უნიკალური ორგანიზაციაა. ფორმალურად მას ეკლესია ეწოდება, მაგრამ დიდი ხანია, იმდენად რელიგიური სწავლებით კი არ არის დაკავებული, რამდენადაც პოლიტიკით. ბოლო საუკუნეების განმავლობაში იგი აგრესიული სომხური ნაციონალიზმის ბურჯად ჩამოყალიბდა. ასეთი გაორება ხშირად ახდენდა იმ სახელმწიფოთა მმართველებს, რომლებშიც სომხები ცხოვრობდნენ, გულუბრყვილად მიიჩნევდნენ, რომ სომხური ეკლესია, ისევე როგორც სხვა რელიგიური კონფესიები, უწინარეს ყოველისა, ზნეობრიობას ქადაგებენ.

მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლება მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 საუკუნის დასაწყისში მფარველობდა გრიგორიანულ ეკლესიას, მაშინაც კი, როცა მონასტრებში წვრთნიდნენ ტერორისტებს და ტაძრები იარაღის საწყობებად ჰქონდათ გადაქცეული. მე-20 საუკუნეშიც კი, როცა სომხები მოთარეშენი ოსმალეთის იმპერიის მტრების მხარეს გადავიდნენ, მშვიდობიანი მაჰმადიანი მოსახლეობის დახოცვა დაიწყო და ბაზეზად გამოყენებული ჰქონდათ სომხური ეკლესიები და მონასტრები, იმპერიის მთავრობას არც კი უფიქრია რაიმე პრეტენზიის წაყენება სომხური ეკლესიისთვის. სომხური ეკლესია სტამბოლში ყოველთვის სარგებლობდა პრივილეგიებით.

დღესაც ასეა. სომხურ თემს სტამბოლში საერთოდ არაფერ ახლებდა ხელს.

დღესაც იგივე მეორდება. სომხები და მათი რელიგიური ორგანიზაციები რუსეთშიც პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მხოლოდ 1903 წელს (დიდი დავიანებობის) მიხედვით რუსეთის იმპერიაში, რას წარმოადგენდა სომხური ეკლესია, და მისიურვეს მისი ქონების კონფისკაცია. პასუხად მიიღო ტერორის ისეთი აფეთქება (მეფის მოხელეთა სერიული მკვლელობები), რომ ხელისუფლება იძულებული შეიქნა, უკან დაეხია.

სომხების მიერ ორგანიზებულ მასობრივ სისხლიან ტერორამდე გაცილებით ადრე, ანუ 1905-1906 წლებში სომხებისა და სომხური ეკლესიის ქვედა კავკასიაში გამომწვევი იყო, თანაც არა მხოლოდ მაჰმადიანების, არამედ ქრისტიანების მიმართაც. ეს ხდებოდა მართლმადიდებელი რუსეთის სახელმწიფოში.

ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტები როგორც ქართველი, ასევე რუსი ქრისტიანების მიმართ აღრიცხულია რუსული იარაღის

ძალით იმპერიისთვის მიერთებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. 1830 წელს სომხებმა ჯავახეთიდან პრაქტიკულად სრულიად გამოდევნეს ქართველი მუსლიმი მოსახლეობა, სამცხიდან კი – მისი უმეტესი ნაწილი.

მაგრამ სომხები ქართველი მაჰმადიანების ეთნიკური წმენდით არ შემოფარგულვან – გაქრისტიანებული მოსახლეობის შევიწროება და მათთვის ცხოვრების აუტანელი პირობების შექმნით განაგრძეს აგრესიული და კაცთმოშულე დამოკიდებულების რეალიზაცია. გასული “კავკაზი” ჯერ კიდევ 1897 წელს წერდა, რომ სომხები, რომლებმაც ქალაქ ახალციხეში უზარმაზარი გრიგორიანული ეკლესია ააგეს, აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის – ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანების სალოცავის მშენებლობას. სომხები აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მკვიდრთა – ქართველებისა და რუსების – რელიგიურ გრძობებს, რომლებმაც ისინი იქ დაასახლეს და ამით ამოწყვეტას გადაარჩინეს.

ასეთი იყო სომხების “მადლიერება”! არსებობს საფრთხე, რომ სომხები დღესაც აპირებენ, ექსპანსიის თვითნებური მიზნით გამოსცადონ საქართველოს ძირველ მიწაზე, რაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ზურგში დანის ჩაცემის ფარია.

ყველაფერი დაიწყო 2011 წელს, საქართველოში სომხეთის კათალიკოსის გარეგინ II ვიზიტის შემდეგ (საქართველოში მიხილ სააკაშვილი პრეზიდენტობდა). მოხდა ისე, როგორც სომხურ ტაქტიკას ახასიათებდა ყოველთვის: თავდაპირველად მათ თითქოს “უყინარბი” თხოვნი დაიწყეს – მოითხოვეს თვითნებური ეკლესიისთვის “მხოლოდ და მხოლოდ” იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება. ეს იყო და ეს...

სომხებ მოღვაწეებს უყვართ საწყის ეტაპზე თავისი მოსაწყვლები, როგორც “დევნილი, დატყვევებული და უბედური” ერის წარმომადგენლებს, და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ “მცირე თხოვნის” წამოყენებით იფარგლებიან. საქართველოს იმპაზინდელმა ხელმძღვანელობამ და ქართველმა საზოგადოებრიობამ ასეთი სტატუსის მინიჭებაში ვერავითარი საფრთხე ვერ დაინახეს. შედეგად, სომხებმა მიადღეს იმას, რაც სურდათ.

გარეგინ II ვიზიტიდან ორი კვირის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში შეიტანა ცვლილება, რომლითაც სომხურ ეკლესიას მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი. გამორიცხული არ არის, პარლამენტს ასეთი ოპერატიულობა “გაურკვეველი” წარმომავლობის მქონე იმპაზინდელი პრეზიდენტის ზეგავლენით გამოეჩინა. შემდეგ კი დაიწყო ყველაზე საინტერესო.

როგორც კი მიიღო იურიდიული პირის სტატუსი, სომხურმა ეკლესიამ დაიწყო დოკუმენტების მომზადება პრეტენზიებით ქართულ ტაძრებზე.

მაღა ჭამაში მოუვიდათ და საბოლოოდ 442 ქართულ ტაძარს დაადგეს ხელი. სომხებმა თავიანთი პრეტენზიები არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინეს, არამედ – საერთაშორისო ორგანიზაციებმაც, მათ შორის, იუნესკოს. თხოვნა ამ ორგანიზაციებს სომხურმა ეკლესიამ, როგორც იურიდიულმა პირმა, წარუდგინა.

სწორედ ეს არის საყურადღებო (!), ანუ – კიდევ ერთი ფაქტი სომხური “მადლიერების” გამჟღავნების. გაიძევეს და ეშმაკი მტაცებლის ქცევას ჰგავს გრიგორიანელთა ასეთი მოქმედება: თავდაპირველად მცირეთუ მკაცრად დგება, რათა შემდგომ წარმოუდგენელი მოთხოვნები გააოფიციალურდოს.

მტაცებელთან კაცი ფრთხილად უნდა იყოს: თითხ გაუშვრ – მოგაჭამს, შეიძლება, სიცოცხლესაც გამოგასაღამოს.

ახლაც ასე მოხდა: 4 წელიწადი არ იყო გასული, რომ გარეგინ II “მოკრძალებული” თხოვნა, სომხების გლობალურ მოთხოვნაში გადაიხარდა. ჩვენმა მეზობლებმა თავიანთ სამშობლოში არსებულ სომხურ ეკლესიებზე მეტი ქართული ტაძრების მათთვის გადაცემის პრეტენზია მსოფლიოში გაახმაურეს.

ამის დიდოსტატები არიან. ამიტომ ქართველებს, უპირველესად კი, ხელისუფლებას, რომელიც განსაკუთრებით “სენსიტიურია” უცხოეთში გამოთქმული მოსაზრებების მიმართ, სიფრთხილე მართებთ: როგორც კი “განსაკუთრებულ უფლებებს” მიიღებენ, სომხები დაუშვებულად დაიწყებენ მართლმადიდებელი მოსახლეობის დევნასა და შევიწროებას, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ.

რაც ვთქვით, მხოლოდ ვარაუდით არ არის: სომხების “ლაშქრობა” მართლმადიდებლობაზე, თანაც ორ ფრონტზე, უკვე მიმდინარეობს. ერთი მხრივ, სომხური ეკლესია მოითხოვს, გადაეცეს 442 ქართული ტაძარი; მეორე მხრივ, სომხურმა “მეზოთუკილონებმა”, რომელიც “ქართველ დობერალებად” ახადებს თავს, დაიწყო ცილისწამების გააფთრებული კამპანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საკუთპირობის წინააღმდეგ. ამის მაგალითები ქართულ მედიაში საკმაოდ არის.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სომხები, რომლებიც მეზობლების წინააღმდეგ თავიანთი ექსპანსიის გასაძლიერებლად რუსეთის ფაქტორს იყენებენ, ქართულ ორგანიზაციებში მოკალათებული ფარული სომხები – კრიპტოსომხები – ქართველებს ბრალს წაუყენებენ, რომ ისინი (ქართველები), რუსების მსგავსად, მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ამას-

თანავე, კრიპტოსომხები, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროკავშირისა და დასავლეთის ქვეყნების დახმარებას რომ ეყრდნობიან, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აბრალებენ “არატოლერანტობას”, “ზომოფობიას” და “ევროპულ ღირებულებებთან” შეუთავსებლობას.

პარადოქსია: სომხეთა ერთი ნაწილი ქართული ეკლესიების “დაბრუნებას” მოითხოვს და “რუსეთის სამხედრო ძლიერებით” გვაშინებს – თუ ქართველები გაჯიუტდებით და განაგრძობთ სომხების “წყენინების” პოლიტიკას, რუსეთი თავის “მოკავშირე” სომხეთს დაიცავს და მხარს დაუჭერს სომხური “ჯავახქის” სეპარატისტებს. ამასობაში კი მათი თანამემამულენი, გადაკეთებული ქართული გვარებით, ათასხირებენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც “კრემლის აგენტების” ბუდეს.

სომხური ეკლესია, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრულად განწყობილი არ არის მართლმადიდებლობის მიმართ, ამიტომ, როგორც სრულიად სომხეთის კათალიკოსის გარეგინ II-ის ვიზიტის, ასევე ამ კონფესიის სხვა მოღვაწეთა ვიზიტის დროს მართლმადიდებელი მრევლი ფხიზლად უნდა იყოს და სომხური ეკლესიის მიერ დასმულ ნებისმიერ საკითხს უაღრესად სერიოზულად მიუკილო. იფრთხილა, რომელსაც კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და სარწმუნოების კულტების საკითხში სომხები ერთგულებენ, გაჯერებულია უკანონო პრეტენზიებით ყველა მეზობელი ხალხის მიმართ, ყველასი, გამონაკლისის გარეშე.

**ვლადიმერ ცხემელიანი,**  
პოლიტოლოგი, ისტორიკოსი

**რეზაძევილის კომენტარი:** მაინც ყველაზე საინტერესოდ მოგვაჩნია ის ამბავი, რომ სომხურმა ინტერენტგვერდმა მიხილ სააკაშვილი დიდი სომხების სიაში შეიყვანა, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ სომხებს მათი ინტერესების დიდი დამცველი მყავდათ საქართველოში, რაც ცხრა წლის განმავლობაში საბედისწეროდ უბრუნდებოდა ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს.

ახლა ერთი პასუხაუცემელი შეკითხვა რჩება – იცოდა თუ არა შევარდნაძემ, რომ სააკაშვილი სომხები იყო. ნაკლებსარწმუნოა, რომ უამრავი დოსიეს პატრონ ედუარდს ეს არ სცოდნოდა და მაშინ ისიც ეცოდინებოდა, თუ რა და დიდ უბედურებებს დაატეხდა თავზე საქართველოს ეს არაკაცი დაშნაკი!





გაზეთი "საქართველო და მსოფლიოს" (ოგანისეპი) თბილისში საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი ჩატარდა

თბილისში, სასტუმრო "ამბასადორში", გაზეთი "საქართველო და მსოფლიოს" ინიციატივითა და თაოსნობით, საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი გაიმართა. "მსოფლიო ძვლების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?" - ამ სახელწოდების მედიაფორუმში მონაწილეობისთვის რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წამყვანი მედია-საშუალებების მთავარი რედაქტორები, ექსპერტები და ჟურნალისტები საგანგებოდ ჩამოვიდნენ. როგორც დონისძიების მონაწილეებმა აღნიშნეს, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული პროცესებისა და დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ანალოგიური ფორმატის შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია.

მედიაფორუმი გაიხსნა ორგანიზატორების მისალმებითა და მონაწილეების წარდგენით, რასაც მოჰყვა რადიოსადგურ "გოგორიტი მოსკვას" ხელმძღვანელის - ვლადიმერ მამონტოვის სადისკუსიო მოხსენება - "სუსხელმწიფოთა ეპოქის დასასრული", რომელშიც დამსწრე საზოგადოებასაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. დონისძიებაზე სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის პოლიტიკურმა მიმომხილველმა კირილ პრივალოვმა ინატარა ტრენინგი თემაზე "წარმატებული ინტერვიუს საიდუმლოებანი", რის შემდეგაც მედიაფორუმი მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ალექსეი კუზნეცოვთან საუბრობა გაგრძელდა.

რეპორტაჟულ ჟურნალისტიკაზე (რეპორტაჟების სერიის "უკრაინულის გაკვეთილები" მაგალითზე) გამართულ დისკუსიას "რეპორტაჟული ჟურნალისტიკა. ჯანრის სპეციფიკა" წარუძღვინა უკრაინელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ირინა ვერეშჩუკი, ჟურნალ "რუსი რეპორტიორის" მთავარი რედაქტორი ვიტალი ლევიტინი და "რუსი რეპორტიორის" მიმომხილველი მარინა ახმედოვა.

14 ნოემბერს მედიაფორუმი რუსი ბლოგერის - ვლადიმერ შურიგინის სასწავლო ბლოკით გაიხსნა. ტრენინგზე - "სამოქალაქო ჟურნალისტიკა და სოციალური ქსელის" - ბლოგერმა თავისი მოსაზრებები ფორუმში მონაწილე ჟურნალისტებს წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ მედიაფორუმის მონაწილეებმა მეორე მსოფლიო ომის თემაზე იმსჯელეს. მრგვალი მაგიდა "დიდი სამამულო ომი და ჟურნალისტის ვითა", მოდერატორმა, გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" რედაქტორმა ირაკლი თოდუა გახსნა.

დონისძიებაზე ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, შეხვედრობდნენ ერზონა გრატას - პედლაინერს, ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორს, აღმოსავლეთში ცოდნე ევგენი სატანოვსკის, რომელმაც თავისი გამოსვლა მედიაფორუმის მთავარ თემას "მსოფლიო ძვლების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?" მიუძღვნა.

დამსწრე საზოგადოებას თავიანთი მოსაზრებები გააცნეს არასამთავრობო ორგანიზაცია "გლობალური კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელმა ნანა დევდარიანმა და ნიკოლაი სილავემ.

გამომსვლელების გარდა, მედიაფორუმში მონაწილეობდნენ: საქართველოდან - არასამთავრობო ორგანიზაცია "ინტორი-ური მემკვიდრეობის" ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე, სოციალური და პოლიტიკონსულტანტი ვალერიან გორგილაძე, პარტია "ნეტრალური საქართველოს" თავმჯდომარე, ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია, საინფორმაციო სააგენტო "საუტნიკ გრუზიას" მთავარი რედაქტორი ტატო ლასხიშვილი და სხვები.

მედიაფორუმს სომხეთიდან ესწრებოდნენ საიტ Pa-n-armenian.am-ის მთავარი რედაქტორი მარინა ანანიკიანი, საინფორმაციო სააგენტო "არმინფოს" მთავარი რედაქტორი ემანუელ მერტიანი, "საუტნიკ-არმენიას" მთავარი რედაქტორი კონსტანტინე პეტროსოვი, გაზეთ "არავოტის" მთავარი რედაქტორი არამ აბრამიანი, ვებგვერდ "აისორის" ჟურნალისტი კარენ კახარიანი, საინფორმაციო პორტალი Ar-medi.am-ის ანალიტიკოსი ანა კარაპეტიანი, საინფორმაციო სააგენტო პანორამა.ამ-ის ჟურნალისტი დიმიტრი აშოტ საფარიანი.

აზერბაიჯანიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ: საუტნიკ.აზ-ის მთავარი რედაქტორი გულნარა მამედზადე, ვესტ.აზ-ის მიმომხილველი ვუკა პასანოვი, საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" გენერალური დირექტორი და გაზეთ "კასპის" მთავარი რედაქტორი ილგარ ჰუსეინოვი, აზერბაი-

ჯანის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოს გენერალური დირექტორი, APA Holding-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნურმან გულიევი, სააგენტო CEC-ის მთავარი რედაქტორი ბასრუხ გულიევი, Caspian Energy Journal-ის კორესპონდენტი თემურ მაქსუტოვი და 1 News-ის ჟურნალისტი ნატა ნასიბოვა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტოლოგიური ცენტრი "წრდილოეთი-სამხრეთი" ანალოგიურ მედიაფორუმს, უკვე რამდენიმე წელია, ატარებს, სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგები კი წელს პირველად მონაწილეობდნენ. პოლიტოლოგიური ცენტრი "წრდილოეთი-სამხრეთის" დირექტორი იულია იაკუშევა ამბობს, რომ აღნიშნულ მედიაფორუმს ქვეყნებს შორის ურთიერთობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს:

- მედიაფორუმი, უკვე მესამე წელია, ტარდება, წელს მასში სომხეთი და აზერბაიჯანიც მონაწილეობდნენ. თუ ადრე ფორუმს მხოლოდ ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის ვატარებდით, წელს მასში მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ქვეყნებს შორის კომუნიკაცია შედგეს, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს წარმომადგენლებსა და რუსეთს შორის აქტიულო საკითხების განხილვა და ჟურნალისტებთან მუშაობა თანამედროვე არცთუ მარტივ პოლიტიკურ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ ჩვენი ფორუმის მთავარი თემა ის ძვრები, რომლებიც დღეს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს და მონაწილეებმა იმსჯელეს, ამ არცთუ მარტივ ვითარებაში, რომელიც დღეს მსოფლიოში შექმნილია, როგორ შეიძლება გავეუმკლავდეთ სირთულეებს.

ამჯერად მედიაფორუმის ორგანიზატორი ქართული მხრიდან გაზეთი "საქართველო და მსოფლიოს" და ფიქრობ, ჩვენს ქართველ კოლეგებთან, "საქართველო და მსოფლიოსთან" ერთად შევქმელით, საინტერესო პროგრამა წარმოვუდგინო და მსოფლიო საზოგადოებისთვის და საინტერესო მონაწილეები და გამომსვლელები შევკვრივია. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს ფორუმი, მომავალში კიდევ ახალ იმპულსს შეიძენს.

ნიკოლაი სილავე, არაკომერციული საპარტნიორო ორგანიზაცია "კავკასიის თანამშრომლობის" დირექტორი:

- ამ ფორუმში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ვიცით, რომ ორივე ქვეყნის - რუსეთისა და საქართველოს - მოქალაქეები ჟურნალისტების თვალთუყურებენ ერთმანეთს, ეს ეხება სომხეთსა და აზერბაიჯანსაც და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი ხვდებოდნენ და საუბრობდნენ ერთმანეთში. ქვეყნებს შორის ურთიერთობა მხოლოდ დიპლომატებისა და პოლიტიკოსების საუბრით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

ძალიან კარგია, რომ გაზეთი "საქართველო და მსოფლიოს" ამ დონისძიების ორგანიზატორია და, ჩემი აზრით, ეს მედიაფორუმი საერთო კავკასიურია და ის ინტერესი, რომელიც ამ ფორუმის მიმართ არსებობს, როგორც მონაწილეების, ასევე მედიის მხრიდან, გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს" ავტორიტეტისა და მისი მედიის ფართო წრის დამსახურებაა.

ვლადიმერ სუზნოვი, გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი:

- რა თქმა უნდა, ასეთი მედიაფორუმის ჩატარება ძალიან კარგია, რადგან ისე გამოვიდა, რომ რუს და ქართველ პოლიტოლოგებს, ჟურნალისტებს, გამომსვლელებს, თითქმის არ აქვთ ურთიერთობა. ჩვენ საქართველოში ელჩიც არ გვყავს. მიუღი რივი სირთულეებია ორი ქვეყნის ურთიერთობაში და სწორედ იმისთვის, რომ ეს ვინაობა გადგვეს, ანალოგიური ფორუმების ჩატარება აუცილებელია.

პირილ პრივალოვი, რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის მიმომხილველი:

- მიმანია, რომ ჩვენ უფრო ხშირად უნდა შეხვედეთ ერთმანეთს. მსგავსი ფორუმების ჩატარება არა მხოლოდ ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესს, არამედ ახალი პორიზონტების, ახალი ადამიანების აღმოჩენაცაა. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს უკეთ გავუკეთო, რათა მომავალში შევძლოთ თავიდან ავიცილოთ. თუმცა ვისურვებდი, რომ ამგვარ ფორუმებში მონაწილეობა აფხაზებსა და ოსებზეც მიეღო, რადგან ჩვენ, ყველამ, ერთ ენაზე უნდა ვილაპარაკოთ. პოლიტიკოსების ურთიერთობა არ არის საკმარისი, ისინი თავიანთ ამოცანებს წვევენ, თავიანთ სამყაროში ცხ-

ვობენ, სახალხო დიპლომატიას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ასეთი ფორუმები სასიცოცხლოდ აუცილებელია. მსგავსი შეხვედრები, ჩემი აზრით, მაქსიმალურად არაფორმალური ფორმატის უნდა იყოს და ახალგაზრდობა უფრო მეტად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში.

ვლადიმერ მამონტოვი, რადიოსადგურ "გოგორიტი მოსკვა"-ს დირექტორი:

- უფროსი თაობისთვის მისაღები და გასაგებია ასეთი ფორუმის ჩატარების მნიშვნელობა და მიზანი, ვინაიდან ჩვენ ყველაფერი კარგად გვახსოვს. ურთიერთობა, რომელიც ორი ერის წარმომადგენლებს შორის არსებობდა, არ არის სასურველი, დაკარგოთ. შესაძლოა, ეს თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის, ახლა გასაგები არ არის, სწორედ ამიტომ, უნდა შევეცადოთ, ავუხსნათ ახალგაზრდა თაობას, რა ურთიერთობაც იყო ჩვენ შორის და მოვაშოროთ ეს სტერეოტიპი თითქოს რუსეთი ყველას და ყველაფერს ახშობდა. რა თქმა უნდა, ჩვენ გვეხმობს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სერიოზული პრობლემები და წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ ისიც ხომ კარგად გვეხმობს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაცია ერთი ხელის მოხმით არ გადაწყდება. პოლიტიკოსები, მართალია, აცხადებენ, რომ დიალოგი დაუშვებელია, მაგრამ ინტელექტუალებმა საუბარი არ უნდა შეწყვიტონ, პირიქით - ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები უნდა ეძებო. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ ჩვენ, ჭკვიანი ადამიანები, ამ პრობლემებს ათწლეულები ვერ გადავწყვეტთ. რუსეთი არ აპირებდა საქართველოსთან ომს, მაგრამ იქ იყვნენ ჩვენი რუსი მშვიდობისმყოფელები და რა გვექნა? თქვენ, კეთილგონიერი ქართველი ერი, ასეთ სიტუაციაში მიატოვებდით საკუთარ ხალხს?! ჩემი აზრი ამ რთულ სიტუაციაში ასეთია: მართალია, ბევრი შეცდომა დაშვებულა, მაგრამ მათი გადაჭრა აუცილებელია.

ალექსანდრე პუშკინი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:

- ამ მედიაფორუმის მთავარი ამოცანაა, როგორც რუსეთსა და საქართველოს, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში მივიღოთ ძალიან მნიშვნელოვანი, პროდუქტიული დიალოგის ფორმატი საზოგადოების დონეზე. მედიაფორუმი ხომ მხოლოდ ჟურნალისტებს შორის უბრალო ურთიერთობას არ მოიცავს, ეს იმ ადამიანებს შორის ურთიერთობაა, რომლებიც შემიძღვნიან თავიანთი ქვეყნებში და ამ ყველაფრის შესახებ ფართო საზოგადოებას ამცნობენ. ამიტომ ამ მართლაც ძალიან რთული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზას ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარებაში ვხედავ. შეიძლება ეს არ არის პრობლემების გადაჭრის სწრაფი გზა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია, რადგან ხშირად პრეტენზიები ერთმანეთისადმი მხოლოდ პირადი კონტაქტების გზით შეიძლება გადავლახოთ. ნანა დევდარიანი, "გლობალური კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელი:

ალექსანდრე პუშკინი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:

- ამ მედიაფორუმის მთავარი ამოცანაა, როგორც რუსეთსა და საქართველოს, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში მივიღოთ ძალიან მნიშვნელოვანი, პროდუქტიული დიალოგის ფორმატი საზოგადოების დონეზე. მედიაფორუმი ხომ მხოლოდ ჟურნალისტებს შორის უბრალო ურთიერთობას არ მოიცავს, ეს იმ ადამიანებს შორის ურთიერთობაა, რომლებიც შემიძღვნიან თავიანთი ქვეყნებში და ამ ყველაფრის შესახებ ფართო საზოგადოებას ამცნობენ. ამიტომ ამ მართლაც ძალიან რთული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზას ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარებაში ვხედავ. შეიძლება ეს არ არის პრობლემების გადაჭრის სწრაფი გზა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია, რადგან ხშირად პრეტენზიები ერთმანეთისადმი მხოლოდ პირადი კონტაქტების გზით შეიძლება გადავლახოთ.

ნანა დევდარიანი, "გლობალური კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელი:

- ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ოთხივე მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლების მხრიდან დიდი ინტერესი დაინახე. მსგავსი ფორმატის შეხვედრები ძალიან მომწონს, რადგან ეს არის მოედანი, პირადი კონტაქტების, პირადი კავშირების განვითარებისთვის და, რაც მთავარია, საშუალება გეძლევა, პირველი წყაროდან მიიღო ინფორმაცია.

მედიაფორუმის მიმდინარეობისას მონაწილეებმა ბევრი კითხვა დაუსვეს გამომსვლელებს, რადგან შეიძლება იზიარებდნენ ან არ იზიარებდნენ, მაგრამ უნდა იცოდეთ, როგორ ფიქრობენ მეზობელ ქვეყნებში. მით უფრო, რომ სამივე ქვეყანა, რომელთა წარმომადგენლებიც მედიაფორუმში მონაწილეობდნენ, ჩვენი მეზობელია. ამიტომ ფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრები. საბჭოთა კავშირის დაშლა არ ნიშნავს, რომ მეზობელ ქვეყნებთან არ გვექმნება ურთიერთობა, მათ შორის პროფესიული. სხვაგვარად ჟურნალისტიკა არ განვითარდება, რადგან ჟურნალისტი კარგად უნდა იცნობდეს რეგიონის სიტუაციასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.

ბულნარა მამილაშვილი, საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო სპუტნიკ.აზ-ის მთავარი რედაქტორი, ბაქოში კასპიის-

თანამშრომლობის ინსტიტუტის წარმომადგენელი:

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წელს საერთაშორისო ფორუმში რუსეთთან ერთად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც მონაწილეობდნენ, რადგან ამ ოთხი ქვეყნის პოზიცია დიდ გავლენას ახდენს რეგიონში არსებულ სიტუაციაზე. გარდა ამისა, აქ შეიკრიბნენ ექსპერტები მედიიდან და უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემა განიხილეს. ჩვენ კონფლიქტურ რეგიონში ვცხოვრობთ და სწორედ უნდა გვესმოდეს კონფლიქტების გადაწყვეტის რა გზები და საშუალებები შეიძლება მოიძებნოს.

შაპირ აბაშიძე, აზერბაიჯანული გაზეთ "ახალი დროს" მთავარი რედაქტორი:

- ასეთი ფორუმი უადრესად მნიშვნელოვანია აზრების გაცვლა-გამოცვლისთვის, იმისთვის, რომ ერთმანეთის პრობლემებზე მეტი ვიცოდეთ. ეს მედიაფორუმი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, მომეწონა, რომ საინტერესო სპიკერები იყვნენ, გამომსვლელების პარალელურად მიმდინარეობდა დისკუსიაც. პირველად ვარ საქართველოში და ძალიან მომეწონა თქვენი ქვეყანა, ვაღიარებ, გავოცდი, რა ბრწყინვალე, კეთილი ხალხია ქართველები. მომავალშიც დიდი სიამოვნებით ჩამოვალ საქართველოში და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო განვითარდება თქვენი ქვეყანა, რადგან აქ ბევრი შესაძლებლობა იხვეწვრებისთვის, კარგი მთავრობა გყავთ.

მადლობა ორგანიზატორებს როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან, მადლობა საქართველოს, მადლობა, რომ მე მოვხვდი აქ და ახალი საინტერესო მეგობრებიც შევიძინე.

ჯამილია ალმაპეროვა, აზერბაიჯანული გაზეთი "ეკოს" პოლიტიკური მიმომხილველი:

- როდესაც მსოფლიოში უამრავი კონფლიქტი ხდება, ეკონომიკური კრიზისია, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის თითოთეული ქვეყანა ირჩევს პრიორიტეტებს. ამიტომ ძალიან საინტერესოა ექსპერტებისა და პოლიტოლოგების მოსმენა იმის შესახებ, ასეთ რთულ პირობებში როგორ აღვუდგეთ წინ ამ ყველაფერს და გავაცნობიეროთ, კონკრეტულად რა საფრთხეების წინაშე დგანს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. საფრანგოში ახლახან მომხდარმა ტერაქტმა, რომელსაც არავინ ელოდა, კიდევ ერთხელ დაგვანახვა, როგორ შფოთავს მსოფლიო, არავინ იცის, ხვალ სად რა მოხდება.

ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, ეს მედიაფორუმი ნიშნავს, - კიდევ ერთხელ მოვისმინო სხვა ადამიანების აზრი და გამოვიტანო დასკვნები, გავაანალიზო, სწორად თუ ვფიქრობდი ამა თუ იმ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ დონისძიება შეხანიშნავად არის ორგანიზებული, რაზეც მონაწილეების დიდი რაოდენობა და ის პირობებიც მეტყველებს, რომლებიც ფორუმის მონაწილეებს აქვთ შექმნილი კომფორტული მუშაობისთვის.

ემანუელ მერტიანი, საინფორმაციო სააგენტო "არმინფოს" მთავარი რედაქტორი:

- მოხარული ვარ, რომ ასეთი ფორუმები ტარდება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთი გავიცნოთ, ჩვენი ქვეყნების მედიასაშუალებებს შორის ურთიერთობა განვითარდეს, სხვების აზრიც მოვისმინოთ. ბოლო ათი წელია, მსგავსი ფორუმები მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირის უკიდურეს ტარდებოდა, ამიტომ განსხვავებული აზრის მოსმენაც აუცილებელი და საინტერესოა.

ლია ხოჯოიანი, სომხური საინფორმაციო სააგენტო Aysor.ამ-ის კორესპონდენტი:

- ძალიან საინტერესო იყო სპიკერების გამოსვლა, მათ ისაუბრეს იმ ვითარებაზე, რომელიც დღეს კავასიაშია. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ერთგვარი მოედნის მოწყობა, სადაც შესაძლებელია საუბარი. ჩვენ, სომხებს ჩვენი კონფლიქტები, ჩვენი მტკივნეული წერტილები გვაქვს და პარიზის ტერაქტების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხებს შორის ურთიერთობა. ჩვენ ხომ არამხოლოდ ფორუმში ვმონაწილეობთ, არამედ ჩვენი მედიასაშუალებებისთვის ვმუშაობთ კიდევ, ვაწვდით მათ ინფორმაციას და ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი ჟურნალისტისთვის, ურთიერთობა, კონტაქტები მხოლოდ პლუსია მისი საქმიანობისთვის. პირველი წელი არ არის, რაც ამ ფორუმში ვმონაწილეობ, რომელსაც "წრდილოეთი-სამხრეთი" უწყვეტად ორგანიზებას და მინდა ვთქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი საინტერესო ადამიანი, ბევრი ჟურნალისტი გავიცანი, რაც ჩემს პროფესიულ საქმიანობაში ძალიან დამეხმარა.

მომავალ შორენა ციხარაშვილი



საერთო კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანია

“ევროპის ერთა თასი 2015”: ქართველი მოჭიდავეების ბრინჯაო მოსკოვიდან



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა მოსკოვში ჩატარებულ “ევროპის ერთა თასზე”.

ტურნირში მონაწილეობა კვორტრებულ იყო - იწვევდნენ სეზონის 6 საუკეთესო გუნდს. ამიტომ ვერ მოხდა იქ ჩვენი ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრები და დაერჩიო მხოლოდ “თავისუფალთა” იმედად.

ჩვენი ნაკრები იქ უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდა და იმ ფონზე, როცა რუსები და აზერბაიჯანელები გადახალისებული გუნდებით ასპარეზობდნენ, ორგანიზატორები მთავარ ფავორიტად გვასახელებდნენ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის ნაკრებმა პრინციპული შეხვედრა 6:2 მოგვიგო.

ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენ გვყავს ძლიერი ნაკრები, რომელიც ძალიან ახლოსაა ლიდერებთან, მაგრამ ვერაფრით ადის მათ სიმაღლეზე. არადა, არც ისე დიდი ხნის წინ არ იყო ამხელა განსხვავება. პირიქით - ჩვენც პირველი ჯგუფის ლიდერებში გავედილით, ვისთან მოგებაზეც ბევრი ოცნებობდა.

არადა, რუსეთი მეორე-მესამე შემადგენლობით გამოდიოდა - იმათმა თავკაცმა მაგომედ ჰუსეინოვმა თავდაპირველად არც ერთ პირველ ნომერს არ უხმო გუნდში, მხოლოდ ბოლო დღეს მიიწვია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, “რუსულ ტანკად” წოდებული დაღესტნელი აბდულრაშიდ სადულაევი, თუმცა ისიც 97-ში დააყენა და არა მისთვის მშობლიურ 86-ში. სადულაევი მართლაც ისეთი “ტანკია”, გინდ მიიმეში დააყენებ, მოგება მაინც გარანტირებულია.

წლისყვამ ჩვენებს ძნელი ჯგუფი არ გუნა - მასპინძელი რუსეთი და თურქეთი...

ბუნებრივია, შერჩევის ასეთი მკაცრი კრიტერიუმით ტურნირში სუსტი გუნდი ვერ იქნებოდა, თუმცა მეტ-ნაკლებობა მაინც არსებობს და აქ ყველა შეხვედრა საომარი იყო, მეორე ჯგუფში კი ბელორუსი და განსაკუთრებით, პოლონეთი ბევრად “იოლი ლუკმა” ჩანდნენ.

ჩვენებმა ქვეჯგუფის პირველ შეხვედრაში თურქეთს 5:3 მოუგეს, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი ბელორუსს 6:2 აჯობეს.

თურქებთან შეხვედრა მარცხით დაიწყო - ბექა ბუჯიაშვილი (57) ევროპისა და მსოფლიოს მედალოსან სეზარ აკგულთან 3:10 დამარცხდა. ახალგაზრდა ბუჯიაშვილმა ვერ შეძლო ამ წონის ლიდერის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური ვერცხლისმქადალოსან ვლადიმერ ხინჩეგაშვილის ღირსეულად შეცვლა და ამ ტურნირზე სამივე პაექრობა უარყოფითი ბალანსით დაიწყო - ბუჯიაშვილმა სამივე პაექრობა დათმო.

თავად ხინჩეგაშვილი მეტ-ნაკლებად დამამიმედებლად გამოვიდა - ორჯერ გავიდა ლეიბზე და თითო მოგება-წაგებით დაასრულა გამოსვლა. სამწუხაროდ, წააგო ყველაზე პრინციპული პაექრობა - რუსეთთან. თუმცა ჩვენებური “თავის” წონაში - 57-ში არ ჰქონდა, რადგან ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებს, ოლიმპიადამდე 61-ში იასპარეზებს (თუმცა ეს წონა არაა თამაშების პროგრამაში).

მოსკოვში ხინჩეგაშვილს თურქებმა მუხრან რეცეპ აკტასი დაუყენეს, ვინც ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია გორელ ფალავანს - ჩვენებურმა 5:1 მოიგო. იმარჯვა ზურაბ იაკობაშვილმაც (65) - სერვეტ ქოსქუნს დამაჯერებლად, 11:2 მოუგო და საერთო ანგარიშში 2:1 დაგვაწინაურა.

ამის შემდეგ ისევ თურქების ჯერი დადგა - დავით ტლაშაძემ (70) თავისი პაექრობა ფრედ, 4:4 კი დაასრულა მუსტაფა კაიასთან, მაგრამ დამატებითი მანევრებლებით მოგება მეტოქეს დარჩა, ევროპული თამაშების მესამე პრიზიორი ჯუმბერ ყველაშვილი (74) კი სონერ დემირ-აშთან 0:7 დამარცხდა. საერთო ანგარიშშიც 3:2 გახდა თურქების სასარგებლოდ, მაგრამ ეს მათი ბოლო გაბრძოლება

აღმოჩნდა - ჩვენებმა დარჩენილი სამივე ორთაბრძოლა მოიგეს.

ევროპული თამაშებისა და მსოფლიოს მესამეპრიზიორმა სანდრო ამინაშვილმა (86) ამჟებ ბილისის 3:1 მოუგო, ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონმა ელიზბარ ოდიკაძემ (97) იბრაჰიმ ბოლუკბასს 5:0 მოუგო, გორგი საკანდელიძემ კი მძიმე წონაში მთელ ტურნირზე თავის ჩინებულ გამოსვლას საძირკველი აქ წაუყარა ემრე იუნუს დედესთან წმინდა მოგებით - 10:0.

რუსებთან შეხვედრაში ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რევაზ მინდორაშვილმა ორი ცვლილება შეიტანა. აქედან ერთი გასაგებია - წაგებულ ყველაშვილს იაკობ მაქარაშვილი ამჯობინა, თუმცა მოგებული იაკობაშვილიც შეცვალა და მის ნაცვლად ევროპის პრიზიორი კონსტანტინე ხაბალაშვილი დააყენა. არადა, უფრო გამართლებული სწორედ ეს ცვლილება გამოდგა იდბლიანი - მაქარაშვილი მართალია, მინიმალურად, მაგრამ მაინც 8:9 დამარცხდა იაკობ შინჯამალოვთან, ხაბალაშვილმა კი ასევე მინიმალური სხვაობით, ძალიან დაძაბულ პაექრობაში დაჯაბნა მურად ნუსკადიევი - 11:10.

ჩვენებურმა პირველი პერიოდი ჩინებულად ჩაატარა და 6:0-ით გავიდა შესვენებაზე, თუმცა იქიდან უფრო მობილურად დაღესტნელი დადრუნდა და შეხვედრის მიწურულს უკვე 10:9-ს იგებდა. საბედნიეროდ, ხაბალაშვილმა ბოლომდე ითმა, მარცხს არ შეურეგდა და სასტვენამდე 10-ოდე წამით ადრე ორქულიანი გდება მითთვალა.

ბუჯიაშვილი ისმაილ მუსუკაევთან დამარცხდა - 7:15, თუმცა ამაზე უფრო მოულოდნელი ხინჩეგაშვილის წმინდა მარცხი იყო ახმედ ჩაკაევთან - 0:11.

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო მეორე პაექრობაც უიმედოდ დაეთმო - ოდიკაძემაც 0:11 წააგო სადულაევთან, მანამდე კი ტლაშაძემ რასულ ჯუკაევთან 3:5 დათმო, ამინაშვილი კი 0:5 დამარცხდა ახმედ მაგომედოვთან. ბოლო შეხვედრაში გული ცოტათი საკანდელიძემ მოგვიფონა, როცა აღან ხუგაევს 3:2 სძლია, თუმცა ამით საერთო ჩამორჩენას არაფერი ეშველა, მხოლოდ 2:6-მდე შემცირდა.

ბელორუსთან შეხვედრა მინდორაშვილმა

სამი ცვლილებით დაიწყო - ხინჩეგაშვილის ნაცვლად ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი ბექა ლომთაძე დააყენა, ოდიკაძეს ახალგაზრდა ომარ გუსოშვილი ამჯობინა, ხოლო ყველაშვილი ისევ დააბრუნა შემადგენლობაში.

მინდორაშვილს ყველა ცვლილებამ გაუმართლა - ლომთაძემ ანდრე კომარი 8:0 დაჯაბნა, გუსოშვილმა ომარგაჯი მაგომედოვს 6:0 მოუგო, ყველაშვილმა კი რასულ ტიხაევს 11:0 აჯობა. ბუჯიაშვილი ამჯერად დიმიტრი რიშინოვთან დამარცხდა - მეტოქემ ბეჭებზე დადო, სამაგიეროდ, ჩვენებმა ლომთაძის შემდეგ მომდევნო სამი პაექრობა წმინდად მოიგეს: ყველაშვილზე უკვე გითხარით და იაკობაშვილმა ვიქტორ სერადას 12:0 მოუგო, ტლაშაძემ კი ანდრე კარპანს - 10:0.

ამინაშვილი ისევ დამარცხდა - ამჯერად ალექსანდრ გუშტინთან, ბოლო პაექრობაში კი საკანდელიძემ ვადიმ შეველოვი 3:0 დაამარცხა. უნდა ითქვას, რომ პირველი შემადგენლობით არც ბელორუსები გამოდიოდნენ.

ჩვენი ნაკრების სტატისტიკაზე წერილის დასაწყისში მეტ-ნაკლებად გითხარით, ამჯერად კი ორ წონაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას - 65-ში, რომელიც ოლიმპიური კატეგორიისაა, მაგრამ ჯერ ლიცენზია არ გვაქვს, ჩვენებმა სამივე შეხვედრა მოიგეს - ყვარლელმა იაკობაშვილმა ორჯერ იმარჯვა (თურქეთთან და ბელორუსთან), გორელმა ხაბალაშვილმა კი რუსეთთან პრინციპული შეხვედრა მოიგო. წლეულს ამ წონაში ჩვენგან მთავარ ტურნირებზე 19 წლის ავთანდილ კენჭაძე ჰქონდა, მაგრამ ის ჯერ მზად არაა უფროსებთან საპაექროდ. აი, ახალგაზრდებს რაც შეეხება, იქ წლეულსვე ევროპის მესამე პრიზიორი გახდა და მსოფლიოზეც ბრინჯაოსთვის იტვირთა. საგარაუდოდ, წლეულს სალიცენზიო ტურნირებში ამ დუეტსაც ვიხილავთ.

მოლოდინისამებრ, “ერთა თასის” გამარჯვებული თავისუფალ ჰიდაობაში რუსეთის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში აზერბაიჯანი 5:3 დაამარცხა. რუსებმა მოიგეს ტურნირი ბერძნულ-რომაულშიც.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ “ლავრანტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კამკასია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენლები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

იუმორი
- შენ ცხენების გეშინია?
- არა!
- იმათ შენი?
...
- ბატონო, თქვენ გურული ბრძანდებით?
- პირიქით, ბატონო, მე მეგრელი ვარ.

სახალხო მკურნალთა მოულოდნელი ჯარი
კილვა მკლავი ნაშიონალური
ფარმაცოლოგიის, რომელიც მის
დაიკრავს სელიოზს და კვლავ ჩაღვა
სალის ჯანმრთელობის სასახურში
...
მასთან სიცოცხლეზე
ხელჩაქმეულები
მიღიან და
ჯანმრთელები
ბრუნდებიან